ლელა

№178 (12 248)

31 ივლისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

SOS! იხსენით ტორპედო!

გუშინ აღმასკომზე. ნოდარ ახალკაცი და გოგი ქავთარაძე — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში, აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართა. მისი დამთავრების შემდეგ კი - პრესკონფერენცია, სადაც ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა,** ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** და პროფლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე ისაუბრეს.

- სხდომაზე პირველ საკითხად უმაღლესი და პირველი ლიგების პირველი წრის კალენდარი და დებულება, აგრეთვე საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის გათამაშების დებულება დამტკიცდა. მეორე წრის კალენდარიც იყო გატანილი დასამტკიცებლად, მაგრამ შესაძლოა მასში გარკვეული ცვლილებები მოხდეს და ჯერ არ დაგვიმტკიცებია. მეორე წრე 17 თებერვალს დაიწყება და 26 მაისს თასის ფინალით დასრულდება.

მეორე, საჩხერის "ჩიხურას" საკითხი გახლდათ. ამ კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა და მის ნაცვლად უმაღლეს ლიგაში ცხინვალის "სპარტაკი" ითამაშებს. ეს გუნდი საშინაო მატჩებს გორში ჩაატარებს.

აღმასკომის მორიგი სხდომა 4 აგვისტოს, 12 საათზე გაიმართება. ამ თავყრილობაზე უკვე საბოლოოდ ვიმსჯელებთ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის "ტორპედომ" დღემდე ვერ დააკმაყოფილა ლიცენზირების მოთხოვნები და ვერ წარმოადგინა ფინანსური გარანტიები. აღმასკომის დღევანდელ სხდომაზე ამ საკითხზეც ვიმსჯელეთ და გადაწყდა, "ტორპედოს" 3 აგვისტომდე მიეცეს ვადა.

სპარტაკმა ჩიხურა ოფიციალურად ჩაანაცვლა

პრესკონფერენცია აღმასკომის შემდეგ 2

ბორჯღალოსნებს დღეს გავაცილებთ

შემადგენლობა 14 აგვისტოს გამოცხადდება

საქართველოს რაგბის კავშირმა გუშინ გამართა პრესკონფერენცია, რომელიც მთლიანად მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატს ეძღვნებოდა. რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტებმა, **კოკა ლაზიშვილმა** და **გია ნიჟარაძემ**, საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრეს, ხოლო ეროვნული ნაკრების კაპიტანმა **ილია ზედგინიძემ** გუნდის სახელით კმაყოფილება გამოთქვა ახლადდასრულებული თბილისური შეკრებით.

გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები, მსოფლიო ჩემპიონატზე, წარდგება 46-კაციანი დელეგაციით, რომელსაც უხელმძღვანელებს გია ნიჟარაძე.

როგორც იცით, 3 აგვისტოს, საქართველოს ნაკრები საფრანგეთში მიემგზავრება და იქვე დაასრულებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპს. დღეს კი, საღამოს 20:30 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, რაგბის კავშირი ცერემონიალს მოუწყობს "ბორჯღალოსნებს". ორსაათიან შოუ-პროგრამას დაასრულებს ფოიერვერკი. ცერემონიალზე დასწრება უფასოა.

ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ შეცვალა გადაწყვეტილება და თბილისში მყოფი ოცდაჩვიდმეტივე მორაგბე მიჰყავს ფრანგულ შეკრებაზე. საფრანგეთში, ჩვენი გუნდი 4-5 საკონტროლო მატჩს ჩაატარებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, თუ ვინ იქნება ის ზედმეტი შვიდეული, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. ნაკრების თავკაცები ბოლომდე, ანუ 14 აგვისტომდე აპირებენ ირბ-საგან ბოძებული განაცხადის შეტანის ვადის გამოყენებას.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე, ითქვა ისიც, რომ ფირმა "ჯეოსპორტმა", გულშემატკივრებისთვის შეკერა ნაკრების კვართები, რომელიც მალე გამოვა გაყიდვაში. რაგბის კავშირმა ოფიციალურ დევიზად აირჩია "ქართული ენერგიით" და სწორედ ეს წარწერა დაამშვენებს გულშემატკივართა მაისურებს.

დასასრულ, გუშინ, რაგბის კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსისა და პიარმენეჯერის თანამდებობას დაუბრუნდა **გიორგი მამარდაშვილი**.

კობა ხატისაშვილი

ვლადიმერ ბოისა

ბოისა შორეულ აღმოსავლეთში

ნაკრებსა და ვლადივოსტოკს შორის:

თუ კონტრაქტზე ხელის მოწერას დავაგვიანებ, არის რისკი, რომ რუსეთში გადასვლა ჩამეშალოს...

ინტერვიუ 9

ქართული ხელბურთი უთავოდ დარჩა 10

მამუკა სხიერელი პრეზიდენტი აღარ არის

ლეილა მესხი

ყრილობა? ახლა არა, მომავალ წელს... 9

დავით ლანჩავა

უკანასკნელ საათს

დი მიკელე სამი თვით მოკვეთეს

"პალერმოდან" "ტორინოში" ახლახან გადასულ ფორვარდ **დავიდ დი მიკელეს** იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ტოტალიზატორით უკანონო გატაცებისთვის სამთვიანი დისკვალიფიკაცია გამოწერა. მის გარდა, ვერდიქტი კიდევ სამ ცნობილ მოთამაშეს გამოუტანეს: სამ თვეს დაისვენებს **ტომას მანფრედინიც, მასიმო მარჯოტას** 4 თვის განმავლობაში მოუწევს უფეხბურთოდ ყოფნა, **ვინჩენცო სომეზეს** კი 5 თვითა 20 დღით.

რეიესი და ატლეტიკო მოგვარებულია

საბოლოოდ გადაწყდა, რომ **ხოსე ანტონიო რეიესი** კარიერას მადრიდის "ატლეტიკოში" გააგრძელებს. გუშინ, "რეალისა" და "არსენალის" ყოფილმა მარცხენა გარემარბმა "ვისენტე კალდერონზე" სამედიცინო შემოწმება გაიარა და "როხიბლანკოსთან" 4-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა. გარიგების საფასური 12 მილიონი ევროა.

ჯანიკედა ლივორნოში გაფორმდა

"უდინეზეს", "ლაციოსა" და "იუვენტუსის" ექსნახევარმცველი **ჯულიანო ჯანიკედა** ახალი სეზონიდან "ლივორნოში" ითამაშებს. 33 წლის ფეხბურთელმა ტოსკანურ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხელფასის სახით კი წელიწადში 800 ათასი ევრო დაიბევა.

მშვიდობა ჩოგბურთში

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა. პრესკონფერენცია

ქუთაისელებო, იხსენით ტორპედო!

პირველი გვერდიდან

ანალოგიურ ვითარებაშია პირველი ლიგის "რაჭა". ამ კლუბსაც 3 აგვისტომდე მიეცა ვადა ფინანსური გარანტიების წარმოსადგენად. მართალია, "ცხუმმა" პირველ ლიგაში გადასვლა გაინაღდა, მაგრამ ამ ლიგაში ასპარეზობაზე თავადვე განაცხადა უარი. წინა ჩემპიონატების დავალიანების გამო პირველი ლიგიდან დაქვეითებულია ტყიბულის "მეშახტე". პირველ ლიგაში კი დაშვებულია საჩხერის "ჩიხურა", ფოთის "კოლხეთი" და მარტვილის "მერანი".

აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა ფედერაციის სამედიცინო კომიტეტის შექმნის საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ ჩემპიონატსა და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში სათამაშო დონის ამაღლებას.

ახალკაცის ამ სიტყვას უკვე კითხვა-პასუხები მოჰყვა.

- ქუთაისის "ტორპედო" ტრადიციული კლუბია და მის ხელმძღვანელობასთან თუ გქონდათ საუბარი. იმედის ნაპერწკალი თუ მაინცაა, რომ ამ კლუბმა შეძლოს უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა?

ნ. ა. - აღმასკომის ამ გადაწყვეტილებას ფედერაციისა და პროფლიგის ერთობლივი კომისიის სამუშაო ვიზიტები და კონტაქტი უძღოდა წინ. ასევე დღეს მიღებული გადაწყვეტილება სრულიად ასახავს პროფლიგის გამგეობიდან მიღებულ შუამდგომლობას. შესაძლოა ბევრმა თქვას, "ტორპედოს" დაქვეითება როგორ შეიძლებაო. ეს რომ არ გავაკეთოთ, მაშინ უბრალოდ თავის მოტყუება გამოვა. გახსოვთ, დიდი მითქმა-მოთქმა იყო, როცა იმავე ფინანსური გარანტიების არქონის გამო ფოთის "კოლხეთის" დაქვეითება მოგვიწია. თუმცა ამით ფოთში ფეხბურთი არ მომკვდარა. მერწმუნეთ, ქუთაისის "ტორპედოს" ბედი ჩვენც არანაკლებ გვაღელვებს, თორემ დღესვე შეიძლებოდა მკაცრი გადაწყვეტილება მიგვეღო. ეს არ გავაკეთეთ და "ტორპედოს" ბოლო ვადა მივეცით.

ფედერაციის აღმასკომზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გოგი ქავთარაძე - ქუთაისის "ტორპედო" დიდი წარსულის მქონე კლუბია, მაგრამ ჩვენ ნებისმიერი, ტრადიციული თუ არატრადიციული კლუბის მიმართ ერთნაირი კრიტერიუმით ვხელმძღვანელობთ და აქ შეღავათი გამორიცხულია. არანაკლებ ტრადიციული კლუბი "ნაპოლი" იტალიის მესამე ლიგაში ასპარეზობდა. მინდა ყველამ კარგად გაიგოს, ეს ფინანსური გარანტიები ჩვენ, ფედერაციას კი არა, თავად კლუბს სჭირდება ჩემპიონატის მსვლელობისას, ფეხბურთელების ხელფასებისა და პრემიებისთვის, ტრანსპორტირებისა და სხვა ელემენტარული ხარჯებისთვის.

- უმაღლესი ლიგაში ახალი სეზონის პირველი წრის კალენდარი 14 გუნდზეა გათვლილი?

- დიახ, ასეა.

პაატა ბურჯალიანი - ამ ბოლო ხანს სტადიონების განახლების კარგი ტენდეცია შეიიშნება და ამაზეც მინდა გავამახვილო ყურადღება. ფედერაციისა და პროფლიგის ერთობლივმა კომისიამ რამდენიმე გუნდის არენა მოინახულა. სამტრედიის, ზუგდიდის, გორისა და რუსთავის სტადიონები განახლდა და ეს არენები ჩინებულ მდგომარეობაშია.

- თუ "ტორპედომ" ფინანსური გარანტიები ვერ წარმოადგინა, მას სხვა კლუბი ჩაენაცვლება თუ 13 გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში?

ნ. ა. - ვნახოთ, ჯერ კიდევ არ ვკარგავთ იმედს, რომ "ტორპედო" ფინანსურ გარანტიებს წარმოადგენს. ამ საკითხზე შაბათს, 4 აგვისტოს დანიშნულ აღმასკომზე ვიმსჯელებთ.

- "ცხინვალი" სად გამართავს საშინაო მატჩებს?

- გორში, "დილას" არენაზე ანუ "თ. ბურჯანაძის" სტადიონზე.

- თასის წილისყრა როდის გაიმართება?

- 1 აგვისტოს.

დავით ცაბაძე

უეფას თასი. ვადუცი-დინამო. საპასუხო მატჩამდე

კაშია ითამაშებს, დობეში საეჭვოა

გუშინ, თბილისის "დინამო" მშობლიურ ბაზაზე საღამო ხანს შეიკრიბა. **დუშან უჰრინმა** თანაშემწეებითურთ ჩვეულებრივ ავარჯიშა გუნდი. დღეს, გამთენიისას კი სტამბოლისა და ციურიხის გავლით კლუბმა ლიხტენშტაინისკენ აიღო გეზი.

"დინამო" ვადუცში დღეს, შუადღისას იქნება და სასტუმრო "რეზიდენცში" დაბინავდება. ადგილობრივი დროით 18 საათზე კი თბილისელები ვადუცის სიახლოვეს, შაანში ჩაატარებენ წვრთნას.

ხვალ, 1 აგვისტოს 18:30 სთ-ზე, იმ დროს, როცა მატჩია დანიშნული, დუშან უჰრინის გუნდი, "ვადუცის" საშინაო არენაზე, "რაინპარკზე" ივარჯიშებს, რომელიც 6 ათას ქომაგს იტევს.

რაც შეეხება შემადგენლობას, **შოთა კაშია** ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და მას უკვე შეეძლება ლიხტენშტაინში თამაში. ჩეხი მცველი **რომან დობეში** უკეთ გრძნობს თავს, მაგრამ ვადუცში მისი თამაში მაინც კითხვის ნიშნის ქვეშაა.

უჰრინმა ლიხტენშტაინში 18 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: დიდიე ოვონო, გიორგი ლორია.

მცველები: შოთა კაშია, ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო, გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, რომან დობეში.

ნახევარმცველები: დავით დიღმელაშვილი, გიორგი მერებაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, დავით ოდიკაძე, ლევან ხმალაძე, სანდრო კობახიძე, მიხეილ ხუციშვილი, ნიკა ფირცხალავა.

თავდამსხმელები: ჯორჯ აკირემი, ილია სპასოევიჩი.

დაბოლოს, ავსტრიულმა ვებგვერმა "სპორტ. ატ"- მ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ავსტრიული გუნდების "აუსტრიისა" და "რაპიდის" სავარაუდო მეტოქეები დაასახელა. ამ ჩამონათვალში თბილისის "დინამოა" და არა "ვადუცი". იქვე ავსტრიელებმა "ამერი"-"ბელხატოვის" წყვილში უპირატესობა პოლონელენს მიანიჭეს.

დავით ცაბაძე

თბილისში, ვადუცთან გიორგი მერებაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო



პეტარ სეგრტმა მზერა თურქეთისკენ მიაპყრო

21-წლამდელთა ნაკრები

4 აგვისტოს, ტრაბზონში

საკითხი უკვე გადაწყვეტილია, 4 აგვისტოს "ტრაბზონსფორი" საქართველოს ახალგაზრდულ ნარებს ამხანაგურ მატჩში უმასპინძლებს. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, 4 აგვისტოს თურქული კლუბი "ტრაბზონსფორი" 40-წლიან იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით თურქულმა მხარემ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩატარება შესთავაზა. ტრაბზონელებმა თბილისიდან თანხმობა მიიღეს.

თურქეთში ახალი სეზონი 11 აგვისტოს იწყება და "ტრაბზონისთვის" ჩვენს ახალგაზრდულთან თამაში დასკვნითი ამხანაგური მატჩი იქნება.

პეტარ სეგრტის გუნდი თურქეთში შესუსტებული შემადგენლობით 2 აგვისტოს გაემგზავრება. ამ მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებული არ იქნებიან ლეგიონერები და ასევე თბილისის "დინამოსა" და "ამერის" ფეხბურთელები, რომელთაც 2 აგვისტოს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები ელით. შესაბამისად, ბევრ ახალგაზრდას მიეცემა საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის შანსი.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ჩვენს 21-წლამდელთა ნაკრებს 22 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ტურის მატჩი უწევს პოლონეთში. ასე რომ, "ტრაბზონთან" პაექრობა პეტარ სეგრტის გუნდისთვის ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იქნება.

დავით ცაბაძე

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ზურაბ ფოცხვერია და გიორგი ჩიხრაძე

კაპიტანმა თანაგუნდელებს მედლები ჩამოურიგა

უეფას თასი. ამერი-ბელხატოვი. საპასუხო მატჩამდე

ჯილდო ბრძოლის წინ

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გასული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, თბილისის "ამერი" დააჯილდოეს. მესამეადგილოსნებს მედლები პროფლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** გადასცა და იქვე დასძინა, რომ ეს მედლები ეროვნულ ზარაფხანაში, სპეციალურადაა დამზადებული და მალალი ხარისხისაა.

პირველი მედალი გუნდის მთავარ მეგოლე **სულიკო დავითაშვილს** ერგო, მას მეკარე **ზურაბ ქვაჩახია** მიჰყვა, შემდეგ იყვნენ **დიმიტრი ტატანაშვილი,** კაპიტანი **გიორგი დავითნიძე**... ბურჯალიანმა კაპიტანს ყველა მედალი გადაულოცა და მანაც ჯილდოები თანაგუნდელებს ჩამოურიგა.

დაჯილდოებისას ერთმა ფეხბურთელმა აღნიშნა – ეს მედლები პოლონურ "ბელხატოვთან" ბრძოლის ჩვენთვის დიდი სტიმული უნდა იყოსო.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამერელები მიღებულ ჯილდოსა და "ბელხატოვთან" ხუთშაბათის მატჩზე.

ამაზე პირველად სულიკო დავითაშვილს დავეკითხეთ

- ბუნებრივია, სასიამოვნოა, როცა გარჯა დაგიფასდება და შენი შრომის ნაყოფს მიიღებ. ისე კი სჯობდა ოქროს მედლები მოგვეპოვებინა, მაგრამ არა უშავს. ახალ სეზონში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ და იმედია, ამ ტიტულსაც მოვიპოვებთ.

- ორიოდე დღეც და პოლონელებთან საპასუხო მატჩი გელით. ამჯერად უკვე მასპინძლის როლში ხართ...

- "ბელხატოვთან" მატჩისთვის გაათმაგებულად ვემზადებით. მართალია, პოლონელებთან ორი მშრალი ბურთით ვაგებთ, მაგრამ ხუთშაბათს მაქსიმალურად ვეცდებით ამ ორი გოლის გაქვითვასა და მეტის გატანას.

- ამ ეტაპის გადალახვა "ამერის" შესაძლებლობებს ხომ არ აღემატება?

- არა, არ მგონია აღემატებოდეს. ზოგჯერ ფეხბურთში მხოლოდ მონდომებას და ბოლომდე ბრძოლას, გამართლების გარეშე შედეგი არ მოაქვს ხოლმე. კარგი იქნება, თუ გაგვიმართლებს კიდეც. ორბურთიანი ფორა ყველა გუნდისთვის გვარიანი ბარიერია, მაგრამ ვეცდებით გადავლახოთ.

საერთოდ, ამ სტადიონზე (მიხეილ მესხი) ხშირად გამიტანია, თანაც მნიშვნელოვანი გოლები და ვნახოთ...

დავითაშვილის შემდეგ უკვე კაპიტან გიორგი დავითნიძის აზრით დავინტერესდით.

- ეს მედალი "ბელხატოვთან" საპასუხო მატჩის წინ რაღა თქმა უნდა დამატებითი სტიმული იქნება. მეტი მონდომებით შევებრძოლებით მეტოქეს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პოლონელები სასურველი ანგარიშით დავამარცხოთ.

- გადალახავთ ამ ბარიერს, გული რას გიგრძნობს?

- გული მიგრძნობს, რომ ამ ბარიერს გადავლახავთ...

ფეხბურთელების შემდეგ უკვე გუნდის მწვრთნელ **გიორგი ჩიხრაძესაც** მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

- "ამერისთვის" ეს პირველი მედლებია ჩემპიონატში. ვფიქრობ, ბრინჯაოს პრიზიორობა ჩინებული შედეგია იმ გუნდისთვის, რომელმაც უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ორი სეზონი გაატარა. ჩვენ მხოლოდ ამას არ დავკმაყოფილდებით და ახალ სეზონში ოქროს მედლებისთვის რეალურად ვიბრძოლებთ.

- უეფას თასის საპასუხო მატჩისთვის როგორ ემზადებით?

- მთელი სერიოზულობით ვემზადებით. გუნდში კარგი ატმოსფერო და საბრძოლო განწყობაა. საპასუხო მატჩამდე ორი კვირა გვქონდა, საკონტროლო მატჩებიც გავმართეთ და ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენეთ.

მართალია, სიტუაცია გავირთულეთ და პოლონეთში ორი ბურთით დავმარცხდით, მაგრამ ეს ანგარიში არ ასახავს თამაშის მსვლელობას. წასაგები თამაში ნამდვილად არ გვქონდა. ყურადღების მოდუნების გამო გავუშვით ის ორი გოლი. თუმცა საპასუხო მატჩი წინაა და მაქსიმალურად შევეცდებით ვითარება გამოვასწოროთ. ხუთშაბათს "ბელხატოვთან" მოსაგებად გავალთ მოედანზე და ამ ბარიერის გადასალახად ცდას არ დავაკლებთ.

- გასულ უქმეებზე "ბელხატოვმა" ახალი სეზონი მოგებით დაიწყო. თუ ნახეთ ეს მატჩი?

- დიახ, ვნახე და ვიდეოფირიც გვაქვს, მაგრამ გუნდისთვისთვის ჯერ არ მიჩვენებია. ხვალ მოსამზადებელ შეკრებაზე გადავდივართ და ორი დღე კიდევ გვექნება მეტოქის ბოლო თამაშის ვიდეოფირის შესასწავლად. საპასუხო მატჩამდე "ბელხატოვმა" ორი მატჩის ჩატარება მოასწრო. ჩემპიონატის სასტარტო ტურამდე, მათ სუპერთასზეც იასპარეზეს. მეტოქე ძლიერია, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

- იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ "ბელხატოვზე"...

- მეტოქეზე ჯერ კიდევ პირველ მატჩამდე გვქონდა წარმოდგენა. თანდათანობით კიდევ მეტად შევისწავლეთ მეტოქე, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ "ბელხატოვის" თამაშში რაღაც ახალი დავინახე-მეთქი. პოლონელები სწრაფ, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ, ბევრი ტანმაღალი ფეხბურთელი ჰყავთ და კარგად იყენებენ სტანდარტულ სიტუაციებს. ბუნებრივია, ვმუშაობთ თუ რა სიურპრიზები შეიძლება შევთავაზოთ მეტოქე.

დაბოლოს, "ბელხატოვი" თბილისში ხვალ ნაშუადღევს ჩამოფრინდება და სასტუმრო "თორში" დაბინავდება. სტუმრები პრესკონფერენციასაც ამავე სასტუმროში, სავარაუდოდ, 16 საათზე გამართავენ. რაც შეეხება "ამერს", ჩვენი გუნდი მცხეთაში, სასტუმრო "მცხეთა პალასში" დაბინავდება და იქვე 1 აგვისტოს 14 საათზე ჩაატარებს პრესკონფერენციას.

"ამერი"-"ბელხატოვის" მატჩი 2 აგვისტოს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 18:45 სთ-ზე დაიწყება. მატჩზე დასასწრები ბილეთები ამავე სტადიონის სალაროებში გაიყიდება. ბილეთის ფასი 2, 5, 10 და 20 ლარია.

დავით ცაბაძე



ამერელები დღეიდან მცხეთაში მოემზადებიან

კლუბები

ზესტაფონი თურქეთში

"ზესტაფონმა" სეზონისათვის მზადება 21 ივლისიდან თურქეთში გააგრძელა და იქ 4 აგვისტომდე გაჩერდება. კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, გუნდი სასტუმრო "პატალიაში" დასახლდა, რომელიც ანკარიდან 80 კილომეტრით დაშორებული მთიან ზონაში მდებარეობს. ზესტაფონის მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** თურქეთში შემდეგი მოთამაშეები იახლა.

მეკარეები: **გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე;**

მცველები: **კახაბერ ჩხეტიანი, სევასტი თოდუა, შალვა ღონღაძე, ედიკ საჯაია, როინ ონიანი, გიორგი ხიდეშელი, ედსონ სანტოსი, ვაჟა ქორიძე;**

ნახევარმცველები: **ჟილვან ვიეირა, ნიკოლოზ კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, ჟონატას ტორესი, პოლ კესანი, ალექსი ბენაშვილი, შოთა ჯიშკარიანი;**

თავდამსხმელები: **გოგი ფიფია, გაგა ჩხეტიანი, ზურაბ იონანიძე.**

4 აგვისტომდე დაგეგმილია რამოდენიმე საკონტროლო შეხვედრის გამართვა. ერთი მატჩი კი იმერლებმა უკვე ითამაშეს.

26 ივლისს ქართველთა მეტოქე ირანის უმაღლესლიგელი აბადანის "სანატ ნაფთი" გახლდათ.

"ზესტაფონი": **ჭანტურია (რ. კვასხვაძე,46), თოდუა, ღონღაძე, საჯაია (ქორიძე, 46), ვიეირა (ხიდეშელი, 46), კ.ჩხეტიანი, რ.ონიანი (ჯიშკარიანი,46), კესანი (დაუშვილი,46), ბენაშვილი (ნ. კვასხვაძე, 46), გ.ჩხეტიანი, ფიფია (იონანიძე,46).**

"ზესტაფონის" პრესსამსახურის ინფორმაციაში წერია, რომ თამაში ქართველთა უპირატესობით წარიმართა. ეს უპირატესობა განსაკუთრებით პირველ ტაიმში იყო თვალშისაცემი, მაგრამ "ზესტაფინმა" საგოლე შანსები გაანიავა. თავის გამოჩენა ორ-ორჯერ შეეძლოთ **ალექსი ბენაშვილსა** და **პოლ კესანის**, ერთხელ **გოგი ფიფიას.** მიზანს მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს მიაღწიეს - 43-ე წუთზე თავი **გაგა ჩხეტიანმა** გამოიჩინა, 1:0.

მეორე ნახევარში **თემურ მახარაძემ** ძირითადის შვიდი ფეხბურთელი შეცვალა. თუმცა უპირატესობას კვლავ ზესტაფონელები ფლობდნენ, მაგრამ შეტევის დაგვირგვინება უჭირდათ, რისთვისაც 88-ე წუთზე დაისაჯნენ. ირანელთა კონტრშეტევას გოლი და საბოლოოდ ფრე მოჰყვა - 1:1.

გუშინ "ზესტაფონმა" მეორე მატჩში ტაჯიკეთის ჩემპიონი "რეგარ-ტადაზი" 2:0 დაამარცხა. გოლები კვასხვაძემ და კესანმ გაიტანეს

მერაბ მამულაშვილი

ქუთაისური დერბი

"ტორპედომ" მოსამზადებელი ეტაპი ყველაზე გვიან დაიწყო, რის გამოც ამჟამად იმერლები ფორსირებულ მზადებას გადიან. გუშინწინ ქუთაისელები ზუგდიდის "მგლებს" შეხვდნენ, გუშინ კი ცენტრალურ სტადიონზე წლეულს, რეგიონალლიგიდან პირველ ლიგაში აღზევებულ თანაქალაქელ "უნივერსიტეტის" გუნდს დაუპირისპირდნენ.

თამაში უნივერსიტეტელთა უპირატესობით დაიწყო და 25-ე წუთზე სტუდენტებმა ანგარიშიც გახსნეს. მეკარესთან პირისპირ გასულმა **ლოსაბერიძემ** გამოიყენა შანსი -1:0. მალევე **მორჩილაძეს** მეორის გატანაც შეეძლო, მაგრამ ააცილა. ტაიმის ბოლოს საპასუხო იერიშები განავითარეს ტორპედოელებმა, მაგრამ ჯერ **ზივზივაძემ** ააცილა, მერე კი მას **კვერნაძემაც** მიბაძა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, რომ ტორპედოელთა იერიშებს პენალტი მოჰყვა. იგი **ნიკა ნადირაძემ** შეასრულა ზუსტად - 1:1. დარჩენილ დროში ორივე კართან შეიქმნა სახიფათო მომენტები, გოლი კი მხოლოდ ერთი გავიდა. 78-ე წუთზე ფლანგურ გარღვევას საჯარიმოში ჩაწოდება და კვერნაძის გოლი მოჰყვა - 2:1.

ტორპედო: **ხარებავა, ტაბიძე, ბარაბაძე, ხურცილავა, ჩხეტიანი, ნადირაძე, დარსაძე, კვერნაძე, დოღონაძე, ზივზივაძე, გაბუნია**

შეცვლაზე შევიდნენ: კირკიტაძე, ნიორაძე

მერაბ გრძელიძე

ცვლილებები სიონში

პრეზიდენტის შეცვლის მერე, ბოლნისის "სიონს" ვიცე-პრეზიდენტიც ეცვლება. გუშინდლამდე "სიონის" ვიცე-პრეზიდენტმა **დავით სილაგაძემ** მოვალეობის შესრულება აღარ ისურვა და თანამდებობა დატოვა.

გუშინვე ზღვისპირეთში შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის "სიონმა" კიდევ ერთი საწვრთნელი შეხვედრა გამართა - ბათუმში ადგილობრივ "ბათუმს" დაუპირისპირდა. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, მეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



გიორგი ნემსაძე

ცხინვალი

სპარტაკი ნემსაძის გარეშე

ცოტა ხნის წინათ "ცხინვალში" ვიცეპრეზიდენტად მისულმა **გიორგი ნემსაძემ** კლუბში დარჩენა არ ისურვა. გუნდს სახელმწიფო აფინანსებს და საბოლოოდ, მისთვის 300 ათასი ლარი გამოინახა. იმ პერიოდში, როცა ქვეყანას უჭირს და პრობლემები თავზესაყრელად აქვს, ამ თანხის გამონახვა დიდი საქმეა. თუმცა "ცხინვალი" მარტო საფეხბურთო კუთხით არ იყო საინტერესო, მას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა, ისეთივე, როგორც კიპროსში ასევე ლტოლვილთა გუნდს - ფამაგუსტის "ანორთოსისს".

სამწუხაროდ, მეტი თანხა სახელმწიფომ ვერ გამონახა და ნემსაძემ აღარ ისურვა ამ გუნდში დარჩენა, ისევე როგორც ბიზნესმენმა **გია ოქრუაშვილმა**. მაგრამ გარკვეული საქმე უკვე გაკეთებულია - მთავარ მწვრთნელად **კობა ჟორჟიკაშვილი** მივიდა, რომელიც მუშაობას აგრძელებს.

გუნდს ცხინვალის "სპარტაკი" დაერქვა. ეს ყველაზე საკამათო რამაა ამ ისტორიაში. წესითა და რიგით, ამ შემთხვევაში, გუნდს ქალაქის სახელი უნდა დარქმეოდა, რომლის გაუღერებაც იყო "ცხინვალის" უმაღლესში გადასვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი - ანუ, ცხინვალი ჩვენი ქალაქია.

"სპარტაკის" საშინაო არენად ორი ვარიანტი განიხილება - გორის "თ. ბურჯანაძის" ან თბილისის "მ. მესხის".

ნემსაძე კი ფეხბურთს ისევ ჩამოშორდა. მისი ამბიციური გეგმები ისევ ვერ ხორციელდება. ასეთი ბიუჯეტით და სახელდახელოდ შეკრებილი შემადგენლობით გუნდი უმაღლესში დასარჩენად თუ იბრძოლებს.

თავად ნემსაძე კი საუბარს ერიდება, ტელეფონს არ იღებს და როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანი მოუწევს ჩრდილში დგომა.

დავით მეფარიშვილი

ტრანსფერი

აფციაურიც აზერბაიჯანში



თორნიკე აფციაური

საქართველოს გასული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **თორნიკე აფციაური** აზერბაიჯანში წავიდა. რუსთავის "ოლიმპთან" 27 წლის ნახევარმცველს კონტრაქტი დაუსრულდა და თავიდან უკრაინაში სცადა ბედი. მარიუპოლის "ილიჩევეცში" მან თავისი ადგილი ვერ იპოვა და საქართველოში დაბრუნდა. აქ გვითხრა, რომ "ზესტაფონში" გადადიოდა, მოულოდნელად კი აზერბაიჯანში აღმოჩნდა.

თუ რა მოხდა, ამის გასარკვევად თორნიკეს დავუკავშირდით და დროზე მივუსწარით - გუშინ აფციაური აზერბაიჯანში წავიდა.

"ზესტაფონში" თამაშზე მართლა დავთანხმდი და კონტრაქტიც უნდა გამეფორმებინა. ამ დროს დამიკავშირდნენ აზერბაიჯანიდან და "გილანში" თამაში შემომთავაზეს. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო და წასვლა ვამჯობინე. ჩემს ასაკში ეს ბუნებრივია. მართალია, შარშან "გილანს" გასავარდნად ჰქონდა საქმე, მაგრამ წლეულს ვითარება შეიცვალა, ახალი მწვრთნელი დანიშნეს, მოთამაშეების შეძენაში დიდი თანხა დაიხარჯა და ძლიერი გუნდის ჩამოყალიბების იმედი აქვთ", - გვითხრა აფციაურმა.

აზერბაიჯანში უკვე ქართველების გვარიანი ჯგუფი თამაშობს. მართალია, ორი წლის წინანდელივით, ორმოცი კაცი აღარაა, მაგრამ ლამის ყველა წამყვან კლუბში ქართველი ირიცხება - "ბაკიში" **გოგობერიშვილი** და **მუჯირი**, "ნეფთჩიში" - **ადამია**, ახლა "გილანში" აფციაური. იქვე არიან **გოჩა ტრაპაიძე, რომან ახალკაცი** და **ლექსო ინწკირველი**. მოთამაშეთა ნაწილი ყაზახეთში გარბის, საქართველო კი გამორჩეული მოთამაშეებისგან იცლება.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

კარლსრუე: იაშვილი თუ ტიმი?

ვის მიანიჭებს უპირატესობას ბადენელთა მწვრთნელი

"კარლსრუეს" მთავარი მწვრთნელი **ედმუნდ ბეკერი** თავის ტაქტიკა-სტრატეგიაზე ჯერჯერობით, კონკრეტულად არ საუბრობს, რადგან უნდა, რომ გერმანიის ჩემპიონატის დაწყებამდე მისმა ფეხბურთელებმა თავი მშვიდად არ დაიგულონ და სანამ ბადენური კლუბი ბუნდესლიგაში სტარტს აიღებს, კონკურენციას გრძნობდნენ. კითხვაზე, ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში, **ალექსანდრე იაშვილი** თუ **კრისტიან ტიმი**, ბეკერი დიპლომატიურ პასუხს იძლევა: *"დღეისთვის ორივე ძალიან კარგ ფორმაშია."*

ფაქტი კი ის არის, რომ ბუნდესლიგის პირველ ტურში, ნიურნბერგის "ფრანკენშტადიონზე" ერთ-ერთი მათგანი ძირითად შემადგენლობაში იქნება, მეორეს კი ახალი სეზონის პირველი მატჩის ყურება, სათადარიგო სკამიდან მოუწევს. "კარლსრუე" სამი შემტევი ნახევარმცველითა და ერთი ფორვარდით ითამაშებს. ეს ერთადერთი თავდამსხმელი კი **ედმონდ კაპლანი** იქნება. სამი ნახევარმცველიდან, ცენტრში თამაში "კაიზერსლაუტერნიდან" ნაყიდ უნგრელ ფლეიმეიკერ **ტამას ჰაინალს** აქვს გარანტირებული, მარცხნივ კი გამოცდილმა **ბრედლი კარნელმა** უნდა იასპარეზოს. კარნელს, რომელსაც სამხრეთ აფრიკის ნაკრებში 35 თამაში აქვს ჩატარებული, ხოლო ბუნდესლიგაში კი, "შტუტგარტისა" და მაინზინგლადბახის "ბორუსიის" მაისურით 106 მატჩის ჩატარება მოუსწრია, ბეკერი გვერდს ვერ აუვლის. შესაბამისად, რჩება ერთი ადგილი, მარჯვნივ, რომლისთვისაც "კარლსრუეს" ორი ახალწვეული აცხადებს პრეტენზიას: იაშვილი და ტიმი.

"კარნელი მარცხენა ფლანგზე, მცველ აიხნერთან ერთად, ჩინებულ დუეტს ქმნის, - აცხადებს ბეკერი, - *მართალია, მას შეტევების დაგვირგვინება ისე კარგად არ შეუძლია, როგორც იაშვილს (10 გოლი და 15 პასი გასულ სეზონში) ან ტიმს (12 გოლი, 4 პასი), სამაგიეროდ, მარცხენა ფლანგს კარგად აკონტროლებს."*

მაშ, ვინ უნდა ითამაშოს მარჯვნივ - იაშვილმა თუ ტიმმა? ბეკერი პირდაპირ ამბობს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ორ ფეხბურთელს შორის არჩევნის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება. ტიმმა გასულ სეზონში, მეორე ბუნდესლიგაში 3 035 წუთი ითამაშა და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. *"კრისტიანის სიძლიერე კონტრიერიშებია. მაგალითად, როცა ჩვენი დაცვა კუთხურს მოიგერიებს, მაშინ ტიმი იდეალურია სწრაფი შეტევისთვის,"* - ამბობს ბეკერი. ეს ფაქტი კი არ გამორიცხავს იმას, რომ KSC-ს მწვრთნელი ტიმს უფრო ჯოკრად მოიაზრებდეს.

რაც შეეხება იაშვილს - ჩვენი გერმანელი კოლეგები აღნიშნავენ, რომ "იაშკამ" აქამდე 6 ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა, რომლებშიც გუნდმა საერთო ჯამში 43 გოლის გატანა შეძლო, ქართველის ანგარიშზე კი, აქედან მხოლოდ 2 გოლია (!). მიუხედავად ამისა, ბადენელთა მთავარი მწვრთნელი მისით ძალიან კმაყოფილია, რაც მისი სიტყვებიდანაც ჩანს. *"ალექსანდრე შესანიშნავად ფლობს და ინარჩუნებს ბურთს. ამასთან, იაშვილი ძალიან ძლიერია ერთიერთზე,"* - აცხადებს "კარლსრუეს" მწვრთნელი.

ალექსანდრე იაშვილი

იმედია, ქართველი უპრობლემოდ დაძლევს ტიმის კონკურენციას და ბადენური კლუბის ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი ფიგურა იქნება...

გოტფრიდ ლენცი

სკონტოს გენერალური მენეჯერი გვიდასტურებს...

ელიავაზე რიგია: ლოკომოტივი, დინამო, თურქეთი...

ზაალ ელიავასთვის ნლევანდელი სეზონი იღბლიანი ვერ აღმოჩნდა. ის ნლეულს უკვე მესამედ დაშავდა, რაც რიგის "სკონტოდან" უკეთეს გუნდში გადასვლას უბრკოლებს.

ერთი თვის წინათ შევიტყვეთ, თითქოს ზაალს მოსკოვის "ლოკომოტივი" აკვირდებოდა. ინფორმაციაზე თავად ბევრი ვერაფერი გვითხრა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, არც ტრანსფერზე გვსმენია რამე და რუსეთშიც მალე განაცხადების შევსების დრო მთავრდება. ხომ არ შეიცვალა ვითარება?

ამის გასარკვევად რიგის "სკონტოს" გენერალურ მენეჯერ **მიხეილ ძოძუაშვილს** დავუკავშირდით, რომელმაც, როგორც იქნა, დაადასტურა ჩვენი ინფორმაცია.

- ზაალ ელიავას შესახებ საინტერესო ამბები შევიტყვეთ. მისი ნაყვანა თითქოს მოსკოვის "ლოკომოტივს" სურს, თუმცა ჯერჯერობით ფაქტია, ეს არ დასტურდება. ზაალი ისევ რიგაშია და "ლოკომოტივის" სასურველ მოთამაშეთა სიაში მისი გვარი არ გამოჩენილა. რეალურად რა ხდება?

- მოსკოვის "ლოკომოტივი" ზაალით მართლა დაინტერესდა. ეს ნაღდია და ვადასტურებ.

- თუ ნაღდია, დღემდე "სკონტოში" რატომ რჩება?

- მთავარი წასვლა და კონტრაქტის გაფორმება არაა. ჩვენი სახელია, "სკონტოს" მოთამაშე ძლიერ ლიგაში რომ წავა და ძირითადში ითამაშებს. სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ზაალი ძირითადში მოხვდება, მანამდე მისთვისაც აჯობებს და კლუბის იმიჯისთვისაც, დროებით ისევ "სკონტოში" ითამაშოს. ცოტას მოვითმენთ, ზაალი კიდევ უფრო მოძლიერდება და დარწმუნებული ვარ, მოსკოველთა ძირითადში ჩაჯდება. ახლა კი მას ხელი ტრავმამაც შეუშალა.

- რა ტრავმამ?

- წლის დასაწყისში მას ბეჭი ხომ ამოუვარდა? ისე კარგად უმკურნალეს, ტანკს რომ დაეტაკოს, არაფერი მოუვა. გვეგონა, გვეშველაო და ამ დროს მეორე ბეჭი ამოიგდო. ინგლისის "ბრისტოლთან" საკონტროლო შეხვედრა გვქონდა და მეხუთე წუთზე დაშავდა. მეგონა, ინფარქტი მომივიდოდა. მაშინ "ლოკომოტივში" მისი გადასვლა გადაწყვეტილი გვეგონა. მერე მკურნალობდა, შეცვლებზე თამაშობდა და ამასობაში დროც გავიდა. თუმცა ეს არაფერია. "ლოკომოტივის" ინტერესშიცაა და კიდევ ბევრი სხვა კლუბისაც.

- სწორედ ეს "კიდევ სხვებია" საინტერესო.

- მოსკოვის "დინამო" მაგალითად, უახლოეს პერიოდში გუნდის წარმომადგენლები ჩამოსვლას და მასზე დაკვირვებას აპირებენ. ძირითადად, რუსეთის პრემიერლიგის გუნდები აკვირდებიან. დაინტერესდნენ პირველი და მეორე ბუნდესლიგის გუნდები... თურქებზე დამავიწყდა. ჩვენმა ნაკრებმა მათ ეროვნულს რომ მოუგო, თუ გახსოვთ, ელიავამ მაშინ ძალიან კარგად ითამაშა. ამის შემდეგ თურქეთის ცნობილმა კლუბებმა მისი შეძენის სურვილი გამოთქვეს.

ასე რომ, ველოდებით, ფორმას საბოლოოდ რომ აღიდგენს და მერე ვნახოთ.

მერაბ მამულაშვილი

ქართველებს ფეხი დაუცდათ

მეორე ბუნდესლიგა სტარტს 10 აგვისტოს აიღებს და დარჩენილ პერიოდში "კარლ ცაისი" თამაშს თამაშზე ატარებს. ამჯერად **ფრანკ ნოიბარტის** განვრთნილები ჩეხეთის უმაღლესლიგელ "მოსტს" შეხვდნენ და 2:4 დამარცხდნენ.

სამწუხაროდ, წაგებაში თავისი როლი ქართველ მცველთა შეცდომებმაც შეასრულა. **გიორგი ონიანის** ორ შეცდომას ორი გოლი მოჰყვა, მესამე გოლი კი "მოსტმა" პენალტით გაიტანა, რომელიც **კანდელაკის** უხეშობას მოჰყვა. **რევაზ ბარაბაძეს** არ უთამაშია, **გიორგი სეთურიძე** კი მკურნალობს.

სხვათა შორის, იენელებმა ერთი გიჟიც - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - შეიძინეს, სკანდალებით ცნობილი ჩეხი ფლეიმეიკერი **იან შიმაკი**. ის ლევერკუზენის "ბაიერის" წევრი გახლდათ, მერე დიდი ხანი ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობდა და ახლა "კარლ ცაისში" გამოჩნდა.

ჩეხებთან მატჩში ონიანი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, კანდელაკი კი ძირითადში დააყენეს.

მერაბ მამულაშვილი

ბუნდესლიგა. სეზონის წინ. მარიო ბასლერის ექსპერტიზა

სასწაულები ხომ იშვიათად ხდება...

ბასლერის აზრით, შტუტგარტი ტიტულს ვერ შეინარჩუნებს



გაზეთ "ბილდის" ლეგენდარული კოლუმნისტისა და მესვეტის, მაქს მერკელის გარდაცვალების შემდეგ, მისი ადგილი 90-იანი წლების ერთ-ერთმა საუკეთესო გერმანელმა ფეხბურთელმა, მარიო ბასლერმა დაიკავა. ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს ემახსოვრება, რომ მერკელის სტატიებს ყოველი სეზონის წინ გთავაზობდით ხოლმე. ამჯერად შემოგთავაზებთ სუპერმარიოს ნარკვევებს იმ გუნდების შესახებ, რომლებიც ქართველ მკითხველს აინტერესებს. ბასლერმა მიზანში პირველად ჩემპიონი "შტუტგარტი" ამოიღო .

პირველივე წერილში ისეთ რამესთან მიწევს განშორება, რაც ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესია... არა, საყვარელო, მშვიდად განაგრძე საქმიანობა სამზარეულოში: შენ არ გშორდები, რა თქმა უნდა! ჩემი ტიტული უნდა გადავცე ერთ ფეხბურთელს, ტიტული კი არა, მეტსახელი "სუპერმარიო".

ის უკვე მთელი გერმანიის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია, ბევრ გოლს იტანს და რაც მთავარია, გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდა. დიახ, ჩემო საყვარელო მარიო გომეს, თამამად შეგიძლია, რომ ამიერიდან საკუთარ თავს სუპერმარიო უწოდო. ამის უფლებას მე გაძლევ, ოფიციალურად გჩუქნი ამ წოდებას. თუ გგონია, რომ ეს ჩემთვის ადვილია, ძალიან ცდები. მაგრამ მე ვიცი, რომ შენ ეს მეტსახელი დაიმსახურე!

"შტუტგარტი" - გერმანიის ჩემპიონი? დღესაც არ მჯერა, რომ ეს ასეა. ის, რაც **ხედირებმა, ჰილბერტებმა** და **ჰიტცლშპერგერებმა** გასულ სეზონში მოახერხეს, დღემდე დიდი გაუგებრობა მგონია. ვერ ვიჯერებ, რომ ამ გუნდს "ვერცხლის სინის" მოპოვება შეეძლო. ახლა კი, შვაბები ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებენ, ეს კი, ამ გუნდისთვის სერიოზული პრობლემაა...

იზრდება დატვირთვა და შესაბამისად, იზრდება ზეწოლაც. ვშიშობ, VFB-საც იგივე არ დაემართოს, რაც გასულ სეზონში "ჰამბურგს" მოუვიდა - მით უმეტეს, რომ "შტუტგარტის" შემადგენლობა არაფრით ჩამოუვარდება "ჰამბურგისას". ერთი მხრივ, ჩემპიონთა ლიგა "რეალთან" და კომპანიასთან, მეორეს მხრივ ბუნდესლიგის ყოველდღიურობა "ჰანზასთან", "არმინიასთან" და სხვებთან - "შტუტგარტი" ფრთხილად უნდა იყოს. იმისათვის, რომ ორივე ფრონტზე წარმატებული იყოს, ნებისმიერ გუნდს ძლიერი შემადგენლობა სჭირდება.

ქედს ვიხრი ჩემპიონთა გენერალური მენეჯერის, **ჰორსტ ჰელდტის** წინაშე. მან "შტუტგარტის" ხელმძღვანელებს მილიონები გამოჰგლიჯა, რათა რამდენიმე ტრანსფერი გაეჩარხა. ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი კი რუმინელი თავდამსხმელი **ჩიპრიან მარიკაა**, რომლის სანაცვლოდაც შვაბებმა 8 მილიონი გადაიხადეს. ამრიგად, მარიკა შვაბური კლუბის ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახდა. ჰორსტ, იცოდე, ამ ბიჭმა გოლები რომ ვერ გაიტანოს, მაგ ფულს საკუთარი ჯიბიდან გადაგახდევინებენ. ახლა კი ვხვდები, რატომაც ეწევი ამ ბოლო დროს ბევრს - შენც ნერვიულობ და კარგად იცი, რაც მოგივა, მარიკამ იმედები რომ არ გაამართლოს.

"შტუტგარტმა" მეკარეც შეცვალა. მართალია, **ჰილდებრანდის** შენარჩუნება თავიდან უნდოდათ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც კარგია, რომ მოიშორეს. ტიმო წავიდა, მის ნაცვლად კი **შეფერი** შეიძინეს - 2.3 მილიონად, "ნიურნბერგიდან". თანაც, მე თუ მკითხავთ, ეს უკანასკნელი ჰილდებრანდს არც არაფრით ჩამოუვარდება და რაც მთავარია, ტიმოსგან განსხვავებით, ძალიან რბილი ხასიათი აქვს.

შვაბებმა 1.2 მილიონი ევრო გადაიხადეს დორტმუნდის "ბორუსიის" ექსდივა **ევერტონში**, რომელმაც VFB-ს არენდის წესით მიაშურა. ჩემი აზრით, ეს ტრანსფერი გაამართლებს. ერთადერთი გარიგება, რომელიც, პირდაპირ გეტყვით, მაშინვე დავიწუნე, **ილდირაი ბაშთურქის** ტრანსფერია და ამ ფეხბურთელის გადაბირებას, ჩემი აზრით, არანაირი გამართლება არ აქვს. ჰო, ეს უკანასკნელი "ჰერტაში" ხშირად იყო ტრავმირებული და ამიტომაც ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების დამტკიცება, მაგრამ მე მაინტერესებს, რისთვის იყიდა ეს ფლეიმეიქერი "შტუტგარტმა"? ილდირაი ძალიან რბილი და ზრდილობიანი ფეხბურთელია, მაგრამ მას ერთი ავადმყოფობა აქვს: ალერგია ტიტულებზე! ვერც "ბოხუმში", ვერც "ლევერკუზენში" და ვერც "ჰერტაში" მან ვერაფერი მოიგო. "ლევერკუზენიდან" კი, საერთოდ მეორეობის გენი მოჰყვება. სამაგიეროდ, ბაშთურქმა ერთ წარმატებას უკვე მიაღწია: კონტრაქტში ჩადებული აქვს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ რომელიმე გრანდი მის სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს გადაიხდის, მაშინვე წავა. მაგრამ ილდირაიმ უნდა გაითვალისწინოს ის, რომ "მანჩესტერი", "მილანი" ან "ბარსელონა" მისნაირ ფეხბურთელებს აღარ ყიდულობენ...

ერთი სიტყვით, "შტუტგარტი" ტიტულს, რა თქმა უნდა, ვერ შეინარჩუნებს. და კაცი, რომელიც გასულ სეზონში სუპერსენსაციად იქცა, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად უნდა იყოს - **არმინ ფეეს** ვგულისხმობ, ჩემპიონების მთავარ მწვრთნელს. არაფერს წარმოადგენდა და უცებ ჩამოწერილი გუნდი ჩემპიონი გახადა - ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ფეემ ისიც უნდა იცოდეს, რომ ზენიტიდან ქვესკნელამდეც ერთი ნაბიჯია. არმინ, გაითვალისწინე ჩემი რჩევა: სადაც ამბიცია და პრეტენზია იზრდება, იქ იმედგაცრუების უფრო დიდი შანსი ჩნდება ხოლმე. მე იმედი მაქვს, რომ ბოსები სამი-ოთხი წაგების შემდეგ ფეეს არ დაითხოვენ. ბოლოს და ბოლოს, ამ კაცმა გერმანიას მარიო გომესი აჩუქა, ახალი სუპერმარიო. თუნდაც გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდეს და ნაადრევად გავარდეს ჩემპიონთა ლიგიდან, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ "შტუტგარტის" ჩემპიონობა ნამდვილი სასწაული იყო, დიდი სასწაული. სასწაულები კი, მოგეხსენებათ, ძალიან იშვიათად ხდება...

მარიო ბასლერი
ბილდი

ილდირაი ბაშთურქი

ეს საინტერესოა

შტუტგარტი ახალი სეზონის წინ

ადგილები ბოლო სამ სეზონში: 1, 9, 5.

მწვრთნელი: არმინ ფეე (46 წლის, კონტრაქტი 2008 წლამდე).

მივიდნენ: ევერტონი (სარაგოსა, არენდა), ჩიპრიან მარიკა (შახტარი, 8 მილ), რაფაელ შეფერი (ნიურნბერგი, 2.3 მილ), გეორგეს მანდჯეკი (იაუნდე, 200 000), გლედსონი (ჰანზა, უფასოდ), ილდირაი ბაშთურქი (ჰერტა, უფასოდ).

წავიდნენ: იონ დალ ტომასონი (ვილიარეალი, 1.5 მილ), მარკო შტრელერი (ბაზელი, 1 მილ), კრისტიან გენტნერი (ვოლფსბურგი, 800 000), დანიელ ბიროფკა (მიუნხენ 1860, 450 000), დირკ ჰაინენი და მარკუს ბაბელი (კარიერა დაასრულეს), ბენიამინ ლაუთი (ჰამბურგი), ტიმო ჰილდებრანდი (ვალენსია, უფასოდ), ჰაიკო გერბერი (ინგოშტადტი, უფასოდ), მარიო კარევიჩი (ლოკერენი, უფასოდ).

მიზანი მომავალ სეზონში: ჩემპიონთა ლიგის საგზური.

პირველი ორი მატჩი: შალკე (შინ), ჰერტა (სტუმრად).

მიხაელ ბალაკი

მოსალოდნელი ტრანსფერი

ჩამოდის 40 მილიონს და წაიყვანეთ ბალაკი

არისტოკრატები მზად არიან, მიხაელი რეალს დაუთმონ...

დიდი ხანია, **მიხაელ ბალაკი** "ჩელსის" ლურჯ მაისურაში გამოწყობილი აღარავის უნახავს. გერმანიის ნაკრების კაპიტანმა ტრავმა 22 აპრილს, ნიუკასლში თამაშის (0:0) დროს მიიღო და.მას მერე ორი ოპერაცია დასჭირდა, რის გამოც, რა თქმა უნდა, აღარ უთამაშია. წინდაწინვე ცნობილია, რომ ბალა პრემიერლიგის სტარტზე, 12 აგვისტოს, "ბირმინგემთანაც" ვერ იასპარეზებს. მაგრამ შესაძლოა, ჯანმრთელად ყოფნის შემთხვევაშიც არ ეთამაშა, რადგან გამორიცხული არ არის, რომ მიხაელმა მადრიდის "რეალში" ამოყოს თავი.

"ბევრი კარგი ფეხბურთელი მყავს და როცა ბალაკი გამოჯანმრთელდება, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება," - ეს "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის **ჟოზე მოურინიოს** სიტყვები გახლავთ და სწორედ ეს სიტყვები დაედო საფუძვლად იმას, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები ბალაკის მადრიდში გადაბარგებას ვარაუდობენ. მით უმეტეს, რომ "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** უკვე არაერთხელ გამოთქვა ბალაკის გადაბირების სურვილი. შესაბამისად, "რეალის" დაინტერესება სულ უფრო და უფრო კონკრეტული ხდება.

"რეალის" ხელმძღვანელებს მიხაელის გადაბირება დიდი ხნის განმავლობაში სურდათ და ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ვერ მოხერხდა. ბალაკს ჩემს გუნდში ახლაც უდიდესი სიამოვნებით ვიხილავდი. ის ჩემს სქემაში ზუსტად ჯდება," - აცხადებს შუსტერი. ინგლისური გამოცემები კი იტყობინებიან, რომ "ჩელსი" 30 წლის ბალაკს კალთებს არ დაახევს - ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, ლონდონური კლუბი მზადაა, გერმანელი ნახევარმცველი 40 მილიონის ევროს სანაცვლოდ დათმოს. "რეალისთვის" კი ეს თანხა პრობლემას არ წარმოადგენს.

"ბილდის" ინფორმაციით, მოლაპარაკებების დაწყებას მხოლოდ ის აფერხებს, რომ მადრიდელებს **კაკაზე** ჯერ ხელი არ ჩაუქნევიათ. და როცა ჩაიქნევენ, მაშინ ბალაკზე გადაიტანენ აქცენტს, რომლის გადაბირებაც, ნამდვილად არ გაუჭირდებათ, რადგან შუსტერის თქმით, ფლეიმეიქერის შესაძენად გუნდს ძალიან დიდი თანხის გადახდა შეუძლია.

მიროსლავ კლოზე

ბაიერნი

კლოზე დაშავდა, ჰიონესი შიშობს

გერმანიის ლიგის თასის მოგების შემდეგ, "ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** სერიოზულად გახლავთ შეშფოთებული. რეკორდმაისტერის ბოსი შიშობს, რომ გერმანული კლუბები "ბაიერნის" წინააღმდეგ ძალიან ხისტად ითამაშებენ, რაც იმის შანსს გაზრდის, რომ დიდი ფულის სანაცვლოდ შეძენილმა ფეხბურთელებმა ტრავმები მიიღონ.

"ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ვნერვიულობ და კერძოდ იმაზე, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს სხვა გზა არ ექნებათ გარდა იმისა, რომ რიბერი, ზე რობერტო ან ტონი დაგვიმტვრიონ. შესაძლოა, ეს არავის თვითმიზანი არ იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ამ ფეხბურთელების წინააღმდეგ ხისტი თამაში მოუწევთ, რადგან სხვაგვარად რიბერის ვერავინ გაუმკლავდება. ლაიპციგში, "შალკესთან" შეხვედრაში ყველამ ნახა, თუ როგორ ეუხეშებოდნენ გელზენკირხენელები კლოზეს და ჰამით ალთინთოფს." - აცხადებს ბავარიული გიგანტის მენეჯერი და შიშობს, რომ **რიბერი, ტონი, კლოზე** და **ზე რობერტო** აუცილებლად ტრავმებს მიიღებენ .

მაგალითად, კლოზემ შაბათს მხარი იტკინა და უკვე ცხადია, რომ მინიმუმ ერთკვირიანი იძულებითი პაუზა ექნება. ამრიგად, **ოტმარ ჰიტცფელდის** განაცხადში დარჩენილი ერთადერთი თავდამსხმელი მომავალ ორშაბათს, გერმანიის თასის პირველ რაუნდში, "ბურგჰაუზენთან" ვერ ითამაშებს.

სატრანსფერო საგა

ჭევესი: კიდევ ერთი კვირა, ან...

ეკიპის ცნობით, ფერგიმ ანელკაზე დაიწყო ფიქრი

კარლოს ტევესის სატრანსფერო ორომტრიალს დასასრული არ უჩანს. "ვესტ ჰემმა" **კია ჯურაბჩიანს** თავდამსხმელის 6 მილიონ გირვანქად დათმობა შესთავაზა. მიმომხილველთა ვარაუდით, ირანელი ბიზნესმენი ლონდონელებს უარს შეუთვლის. ის "ჩაქუჩების" წინააღმდეგ სასამართლოში გააგრძელებს ბრძოლას. სასამართლოს, შეიძლება, თვეები დასჭირდეს. "მანჩესტერ იუნაიტედ" კი სასურველი ტრანსფერის გასახორციელებლად მხოლოდ ერთი თვე აქვს. 31 აგვისტოს ზაფხულის ფანჯარა დაიხურება. "ეშმაკებს" ტევესის შესაძენად იანვრამდე მოუწევთ ლოდინი. იანვრამდე უსაქმოდ დარჩენა ემუქრება საკუთრივ ფეხბურთელსაც, რომელსაც "ვესტ ჰემთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, მისი სატრანსფერო უფლებები კი ჯურაბჩიანის ხელშია. სწორედ ეს გახდა "ვესტ ჰემის" 5.5 მილიონი გირვანქით დაჯარიმების მიზეზი. პრემიერლიგის სატრანსფერო კანონმდებლობა კატეგორიულად კრძალავს იმ მოთამაშეებთან კონტრაქტის გაფორმებას, რომელთა სატრანსფერო უფლებები მესამე მხარეს ეკუთვნის.

უკანონოდ გამოცხადებული და პრემიერლიგის მიერ გაუქმებული კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელის ტრანსფერიდან მიღებული თანხა ჯურაბჩიანს უნდა მიეღო, "ვესტ ჰემს" კი სულ რაღაც 100 ათას გირვანქას გადაუხდიდნენ. ჯურაბჩიანი სწორედ ამ პირობების შესრულებას ითხოვს. მათი შესრულება კი ლონდონელთა კიდევ ერთხელ დაჯარიმებას გამოიწვევს. როგორც აღვნიშნეთ, ის შეთანხმება პრემიერლიგამ უკანონოდ გამოაცხადა. "ვესტ ჰემის" მფლობელი **ეგერტ მაგნუსონი** ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამბობს, რომ არ კარგავს პრობლემის მოგვარების იმედის ერთი კვირის განმავლობაში. ამასობაში, ფრანგული "ეკიპი" წერს, რომ თუ ტევესის საკითხი ერთ კვირაში არ გადაწყდება, **სერ ალექს ფერგიუსონი ნიკოლა ანელკას** ტრანსფერზე დაიწყებს მუშაობას. ფრანგული გამოცემის მტკიცებით, "იუნაიტედს" ბოლტონელი თავდამსხმელის შეძენა 15 მილიონი ევრო დაუჯდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

ბუფონი და ლუკე, როგორც შუმახერი და ბატისტონი...

ნიუკასლი-იუვენტუსი. ბუფონისა და ლუკეს შეტაკება

ევროპის გრანდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან. ამ ეგიდით, შაბათ-კვირას რამდენიმე საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა. დღევანდელ მასალაში გამორჩეულ თამაშებსა და კლუბებზე გავამახვილებთ ყურადღებას...

ემირითსის თასი:

ინტერის ორი მარცხი, კივუს დებიუტი და სუასოს პირველი გოლი

ლონდონში, "ემირითსის თასზე", "არსენალი", "ინტერი", "პარი სენ-ჟერმენი" და "ვალენსია" თამაშობდნენ. პირველ შეხვედრაში ესპანელებთან მარცხის (0:2) შემდეგ, "ინტერი" მასპინძელ "მეთოფეებსაც" დანებდა (1:2). მიუხედავად იმისა, რომ "ნერაძურის" **კრისტიან კივუსთვის** პრეზენტაცია ჯერ არ მოუწყვია, **რობერტო მანჩინიმ** რუმინელი მცველი "არსენალთან" 90 წუთი ათამაშა. ვფიქრობთ, "ინტერის" თავკაცისთვის კივუს დებიუტზე უფრო მნიშვნელოვანი **დავიდ სუასოს** გოლი უნდა იყოს. ჰონდურასელთან ერთად, თავდასხმაში ვიხილეთ ახალგაზრდა **მარიო ბალოტელიც**, ამათ კი "ლაციოდან" მოსული **ლუის ხიმენესი** უბამდა მხარს. **არსენ ვენგერის** რჩეულთ რაც შეეხებათ, ეს უფრო ახლოს იყო ოპტიმალურ შემადგენლობასთან, ვიდრე მანჩინისეული ფორმაცია. ლონდონელთა მხრივ, ყველაზე კარგი შთაბეჭდილება **სესკ ფაბრეგასმა** და **რობინ ვან პერსიმ** დატოვეს, მით უმეტეს, ამ უკანასკნელმა "არსენალს" სულაც გამარჯვება მოუტანა. მანამდე კი...

...პირველ ტაიმი მეორეზე ნაკლებად საინტერესო გამოდგა. მხოლოდ რამდენიმე მომენტს თუ გამოვარჩევთ. თამაშის დასაწყისში ბურთს უფრო უნარიანად ვენგერის შეგირდები აკონტროლებდნენ და პირველი მწვავე მომენტიც მათ შექმნეს. "ინტერის" მეკარე **ულიო სეზარმა** რის ვაი-ვაგლახით შეძლო ვან პერსის დარტყმულის მოგერიება. მერე "ნერაძურის" კიპერი **მეტიუ ფლამინიმ** შეაწუხა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. პირველი ტაიმის ბოლოს კი ჯარიმა შეასრულა კივუმ, რომლის დარტყმულმა ხარიხას გადაუფრინა.

შესვენების შემდეგ, მანჩინიმ რამდენიმე ცვლილება განახორციელა: სუასოს გვერდით **ადრიანო** ამოუყენა, ინერტული **სანტიაგო სოლარის** ნაცვლად **ლუიშ ფიგუ** შეუშვა, ხოლო კივუ დაცვის ცენტრში დააყენა. ვიდრე "ინტერი" თამაშს გარდაქმნიდა, ვენ პერსის კიდევ შეეძლო გოლის გატანა. ჰოლანდიელმა ფაბრეგასის დიდებული გადაცემა მიიღო და ის იყო, ბურთი კარში უნდა გადაეგზავნა, რომ კივუმ იყოჩალა და თავისიანები ნაღდ გოლს გადაარჩინა. მიუხედავად ლონდონური ნნეხისა, ანგარიში მაინც იტალიის ჩემპიონმა გახსნა. ინტერელთა მხრიდან უდავოდ საუკეთესო სუასომ **იენს ლემანს** ახლო მანძილიდან შანსი არ დაუტოვა.

მანჩინის ამქარს მხოლოდ 5 წუთით აცალეს ლიდერობა. მცირე ინტერვალით, **ფრანჩესკო ტოლდომ** ჯერ სასწაული ბურთი აუღო გლებს, მაგრამ მერე ბელარუს ნახევარმცველთან ვერაფერი გაანყო - 1:1. თუ ამ შემთხვევაში ვეტერან კიპერს ვერაფერში დავადანაშაულებთ, იგივეს ვერ ვიტყვით ვან პერსის დარტყმულზე, რომელიც მეტად მახვილი კუთხიდან ახლო ძელთან გაუშვა.

დარჩენილ ხუთ წუთში "ინტერმა" სახეირო ვერაფერი მოასწრო. მანჩინის თქმით, მიუხედავად მარცხისა, მისმა გუნდმა "არსენალთან" შეხვედრაში გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე "ვალენსიასთან" წაგებულ მატჩში. ვენგერი კი, რაკი "არსენალმა" ორი გამარჯვებით "ემირითსის თასი" მოიგო, ორმაგად კმაყოფილი იყო. უკვე ამ ეტაპზე ჩვენი თამაშის ხარისხი იმედს მაძლევს, რომ პრემიერლიგის სტარტს ღირსეულად შევხვდებითო, ასეთი გახლდათ მოსიე არსენის შეფასება.

ამავე ტურნირზე "პარი სენ-ჟერმენმა" მოულოდნელად "ვალენსია" გაანადგურა - 3:0. პსჟ-სთვის ეს ბოლო მოსამზადებელი მატჩი იყო ახალი ფრანგული ჩემპიონატის წინ, რომელიც მომავალ უიქენდზე იწყება. ასე რომ, ახალი მწვრთნელის **პოლ ლე გენის** მეთაურობით, ერთ დროს ფრანგული ფეხბურთის გრანდი სეზონის რთულ აღმართს ამაღლებულ განწყობაზე შეუყვება.

ძალზე ძლიერად ითამაშა პსჟ-ს შემტევმა წყვილმა, **ამარა დიანესა** და **დავიდ ნ'გოგის** სახით. პირველ ნახევარ საათში მათ ორი გოლი შეყარეს და, ფაქტობრივად, საქმეც მოათავეს. თამაშის ამავე ნაწილში ფრანგებს კიდევ ამდენივეს გატანა შეეძლოთ და რომ არა გერმანიის ნაკრების მეკარე **ტიმო ჰილდებრანდის** ("ვალენსიაში" ამ ზაფხულს გადავიდა) ბრწყინვალე "სეივები", **კიკე ფლორესის** გუნდისთვის ანგარიში უფრო სამარცხვინო სახეს მიიღებდა.

"ვალენსიას" ვერც მეორე ტაიმის შეცვლებით ეშველა: **ხოაკინმა, რუბენ ბარახამ** და **ფერნანდო მორიენტესმა** თამაშში სიმწვავე ვერ შეიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობას ესპანელები ფლობდნენ, პსჟ-ს კონტრთამაშში უფრო მეტი შანსი ჰქონდა და მატჩის ბოლოს ერთ-ერთი გამოიყენა კიდეც: გამოცდილმა **პეგი ლუინდულამ** 10 მეტრიდან მარტივად გადაჭრა პრობლემა.

არსენალი-ინგერი 2:1

არსენალი: ლემანი, სანია, კოლო ტურე, გალასი, ჰოიტი (69. ტრაორე), ებუე, ფაბრეგასი (83. დენილსონი), ფლამინი, ჯიბსი (80. ბენდტნერი), გლები, ვან პერსი.

ინტერი: ულიო სეზარი (46. ტოლდო), სეზარ აპარესიდო, მატერაცი (52. პედრელი), სამუელი (46. ფატიჩი), კივუ, ფილკორი, დაკური, სოლარი (62. ფიგუ), ხიმენესი (46. ბოლცონი), ბალოტელი (46. ადრიანო), სუასო.

გოლები: 0:1 სუასო (62), 1:1 გლები (67), 2:1 ვან პერსი (85)

პსჟ-ვალენსია 3:0

პსჟ: ალონსო, მენდი, ბურილონი, იეპესი (65. არმანი), სახო, არნო, სანხარე, ნ'გოი (80. მულუმბუ), გალიარდო, დიანე, ნ'გოგი (78. ლუინდულა).

ვალენსია: ჰილდებრანდი, ლილიო, მარჩენა, ლომბანი, მორეტი, ანგულო, ალბელდა (46. ბარახა), სანი (85. კარლესი), გავილანი (46. მატა), ვილია (46. ხოაკინი), არისმენდი (46. მორიენტესი).

გოლები: 1:0 დიანე (14), 2:0 ნ'გოგი (29), 3:0 ლუინდულა (84)

რომას პროგრესი დორტმუნდული რგბევის შემდეგ: ფრე ლევერკუზენთან

სწორედ ამ პროგრესით ხარობდა მატჩის შემდეგ "რომას" მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი**. რამდენიმე დღის წინათ, "ჯალოროსიმ" მძიმე დარტყმა იგემა დორტმუნდის "ბორუსიისგან" - 0:4. ამჯერად, საქმე გაცილებით უკეთ იყო: **შაბანი ნონდას** გოლით იტალიელებმა მატჩის მიწურულს ფრეს გამოჰკრეს ხელი. უკეთესი იყო თამაშის ხარისხიც, მაგრამ "რომა" ჯერ მაინც შორსაა სასურველი კონდიციებისგან და ეს აბსოლუტურად გასაგებია. მხოლოდ 10 დღეა, რაც გუნდი სეზონისთვის მზადებას შეუდგა.

სპალეტიმ ყველა ახალწვეულს მისცა თავის გამოჩენის შანსი. **ჟუანი**, რომელიც იტალიაში ახლახან სწორედ "ლევერკუზენიდან" გადაბარგდა, თავის ყოფილ კლუბს ძირითადი შემადგენლობიდან დაუპირისპირდა. ასევე ძირითადში ითამაშეს **ლუდოვიკ ჟიულიმ** და **მაურო ესპოზიტომაც**, "ინტერიდან" მოსული ახალგაზრდა მცველი **მარკო ანდრეოლი** კი სპალეტიმ მეორე ტაიმიდან ათამაშა. "ლევერკუზენში" კი ხაზგასასმელია **თეოფანის გეკასის** დებიუტი. ბერძენი ფორვარდი, რომელიც გასულ სეზონში ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, "ფარმაცევტებში" ამ ზაფხულს "ბოხუმიდან" გადაბარგდა. აქვე ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ შეხვედრაში გეკასს თავი არაფრით გამოუჩენია...

"ბაიარენაზე" გამართულ მატჩში ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გაიხსნა. **მარკო კასეტიმ** მარჯვენა ფლანგიდან უზუსტესი გადაცემა გაუკეთა **სიმონე პეროტას**, რომელმაც დამაგვირგვინებელი დარტყმა უნაკლოდ შეასრულა. შემდეგ **ბერნდ შნაიდერის** ჯერი დადგა. "ლევერკუზენის" კაპიტანმა ჯერ საეჭვო პენალტით აღადგინა ნონასნორობა, მეორე ტაიმში კი თანაგუნდელები შესანიშნავი დარტყმით დააწინაურა. როგორც ზემოთ ვთქვით, თამაშის მიწურულს "რომა" წაგებას ნონდამ გადაარჩინა. კონგოელმა მასპინძელ მცველთა სრული მოდუნებით ისარგებლა და ახლო მანძილიდან თავური დარტყმით საბოლოო წერტილი დასვა.

"თამაშის ხარისხი და კონდიციები აშკარად გავაუმჯობესეთ, - თქვა ნამატჩევს სპალეტიმ, - "ლევერკუზენთან" ასეთი შედეგი სავსებით მისაღებია, რადგან საქმე გვქონდა მეტად ძლიერ გუნდთან, რომელიც სეზონის სტარტისთვის, ჩვენგან განსხვავებით, უკვე მზადაა. ჩვენგან, მსურს, გამოვყო ჟუანი, რომელზეც ადრეც კარგი წარმოდგენა მქონდა. ის მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელი და პიროვნებაა. აღტაცებული ვარ მისი მუშაობითა და მონდომებით, თამაშსაც კარგად კითხულობს. მოკლედ, ამ ფეხბურთელში არ შევმცდარვართ და ეს ძლიერ მახარებს".

მომდევნო ამხანაგურ მატჩს "რომა" 4 აგვისტოს გამართავს. "ჯალოროსი" ლონდონს ეწვევა და იქაურ "ვესტ ჰემს" დაუპირისპირდება.

ლევერკუზენი-რომა 2:2

ლევერკუზენი: ადლერი, ფრიდრიხი, როლფესი, ბარნეტა, კისლინგი, შვეგლერი, გრეშკო, შნაიდერი, კასტრო, კალსენ-ბრაკერი, გეკასი.

მეორე ტაიმში შევიდნენ: ფატი, დუმი, შარპეი, ბარბარესი, ჰაპადოპულოსი, ტურე.

რომა: ულიო სერჟიო, კასეტი, მექსე, ჟუანი, ტონეტო, ესპოზიტო, დე როსი, პისარო, ჟიული, პეროტა, ტოტი.

მეორე ტაიმში შევიდნენ: კურჩი, ანდრეოლი, პიტი, როზი, ბრიგი, ბარუსო, აკვილანი, ტადეი, ნონდა, ვუჩინიჩი, ალვარესი.

გოლები: 0:1 პეროტა (2), 1:1 შნაიდერი (17-პენ), 2:1 შნაიდერი (65), 2:2 ნონდა (88)

მილანს ლეკო ერთ ლუკმად არ ეყო

"მილანი" ბოლო იტალიური კლუბია, რომელიც ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. ამდენად, სერია C-ს ბინადარ "ლეკოსთან" ტესტ-მატჩი "როსონერისთვის" პირველი გამოჩენაა ტიფოზების წინაშე. როგორც მოსალოდნელი იყო, **კარლო ანჩელოტის** შეგირდებმა მეტოქე იოლად დაამარცხეს. **კახა კალაძემ** თამაში სასტარტოში დაიწყო. მეორე ნახევარში ჩვენებური **ალესანდრო ნესტამ** შეცვალა...

"მილანი" ნელ-ნელა შევიდა თამაშის ეშხში და ანგარიში მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა. **რონალდომ** თამაშგარეს მახე გაარღვია, პირისპირ გავიდა მეკარესთან და თავის საფირმო სტილში გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისშივე, **კლარენს ზეედორფის** პასით **კაკამ** სხვაობა ორამდე გაზარდა. მერე, იმავე კაკას დარტყმის შემდეგ მცველების მიერ უკუგდებული ბურთი მიზანში **კრისტიან ბროკიმ** გაგზავნა. საბოლოო ანგარიში კი ზეედორფმა დაფიქსირა. ჰოლანდიელმა **მასიმო ოდოს** პასი აქცია გოლად.

იტალიელმა ჟურნალისტებმა განსაკუთრებით გამოყვეს ბრაზილიური კვარტეტის - **კაფუს, სერჟინიოს, კაკასა** და **რონალდოს** მიერ გათამაშებული შესანიშნავი კომბინაციები. აღინიშნა ოდოს კარგი სათამაშო კონდიციებიც. ანჩელოტიმ კი განსაკუთრებით კაკასა და რონალდოს კლასს გაუსვა ხაზი:

"ყველაზე მეტად ნასიამოვნები ვარ ლამაზ სტილში გატანილი გოლებით. კაკამ და რონალდომ კი დაამტკიცეს, რომ მიუხედავად სერიოზული ფიზიკური მინუსებისა, რაც ამ ეტაპზე ჩვეულებრივი ამბავია, მაღალი კლასი აძლევთ საშუალებას, თამაშის ბედი ინდივიდუალურადაც გადაწყვიტონ და გუნდური გ ზითაც. კარგ ტემპში ვითამაშეთ, მომეწონა ხარისხიც, ბურთის კონტროლიც, რაც ამ დროისთვის ცოტა გასაკვირიც კია. მაგრამ ამ გუნდმა იცის, რაც უნდა"...

მილანი-ლეკო 4:0

მილანი: დიდა (46. კალაჩი), კაფუ (46. ოდო), ბონერა (46. შიმიჩი), კალაძე (46. ნესტა), სერჟინიო (46. იანკულოვსკი), გატუზო (72. კარალია), ბროკი, ამბროზინი (46. პირლო), ზეედორფი, კაკა, რონალდო (65. ობემეიანგი).

გოლები: 1:0 რონალდო (40), 2:0 კაკა (56), 3:0 ბროკი (71), 4:0 ზეედორფი (87)

წაგების მიუხედავად, რანიერი კმაყოფილი უნდა იყოს...

თუ რამდენად ძლიერი და კონკურენტუნარიანი გუნდი იქნება "ნიუკასლი" **სემ ელერდაისის** ხელში, ამას მომავალი სეზონი გვიჩვენებს. დღეს კი მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ჯორდებს" არც თუ ურიგო პერსპექტივა აქვთ. მატჩის შემდეგ ელერდაისმა აღნიშნა კიდეც - ასეთი თამაშით პრემიერლიგის ხუთეულში მოხვედრა არ უნდა გაგვიჭირდესო...

ჯერჯერობით, ასეთივე გამოცანად რჩება "იუვენტუსიც", რომელსაც ასევე ახალი მწვრთნელი ჰყავს **კლაუდიო რანიერის** სახით. თუ იტალიურ მედიას დავუჯერებთ, მიუხედავად მარცხისა, რანიერიც კმაყოფილი უნდა იყოს. "იუვენტუსმა" ბევრი საგოლე მომენტი შექმნა - სამჯერ **დავიდ ტრეზეგეს**, მერე **პაველ ნედვედს, ვინჩენცო იაკუინტასა** და **მარკო მარკიონის** შეეძლოთ თავის გამოჩენა, თუმც ერთი შანსიც ვერ გამოიყენეს. არ ვიცით, რატომ უნდა იყოს მწვრთნელი ამით კმაყოფილი, მაგრამ ხომ მხოლოდ მზადების პროცესია და ეტყობა, სინიორ კლაუდიოს სჯერა, რომ მომენტების რეალიზაციის პროცენტი თანდათან გაიზრდება...

მოკლედ, განახლებულ "იუვეს", რომლის სერია A-ში "დებიუტს" ყველა მოუთმენლად ელის, ბევრი პრობლემა აქვს. საგოლე შანსების რეალიზაცია ცალკე საკითხია და ახალ მოთამაშეებს გუნდთან და რანიერის მოთხოვნებთან მორგებაც სჭირდებათ. ამისთვის კი დროა საჭირო. შესაძლოა, ცოტა უკეთ ყოფილიყო საქმე, **ალესანდრო დელ პიეროს** რომ ეთამაშა. "ქალბატონის" ლიდერსა და კაპიტანს მცირე ტრავმა აწუხებს...

რანიერიმ 4-3-3 სისტემა აირჩია. ტრეზეგესთან ერთად, ფორვარდების როლს ნედვედი და იაკუინტაც ასრულებდნენ, თავდამსხმელებთან ახლოს მოქმედებდა მარკიონიც... მაგრამ "იუვე" შეტევაში იმდენად გაერთო, რომ ზურგი მოუშიშვლდა და პირველივე ტაიმში ორი გოლი გაუშვა. დარჩენილ დროში კი დაცვაზე ორიენტირებულ ნიუკასლელთა და მეკარე **შეი გივენის** წინააღმდეგობის გატეხვა დაუძლეველი პრობლემა აღმოჩნდა.

გოლები **ალბერტ ლუკემ** და მისმა შემცვლელმა, ახალგაზრდა **ენდი ქეროლმა** შეყარეს. ლუკეს შეცვლა ტრავმით იყო გამოწვეული. ამან ელერდაისი ძლიერ შეაწუხა. ტრავმის სიმძიმის ხარისხი ჯერჯერობით, უცნობია. დამნაშავე კი **ჯანლუიჯი ბუფონია**, რომელიც საჯარიმოს გარეთ გაიჭრა და ლუკეს შეჩერებას ცდილობდა. თუმც ეს მეტად უხეში ფორმით მოუვიდა, იმდენად უხეშით, რომ ელერდაისმა ეპიზოდი **ტონი შუმახერისა** და **პატრიკ ბატისტონის** შეტაკებას შეადარა...

ნიუკასლი-იუვენტუსი 2:0

ნიუკასლი: გივენი, კარი (65. ლაფი), როზენჰალი (46. ედგარი), რემიჯი, ჰანტინგტონი, მილნერი (46. პეტისონი), ჯერემი (46. ტროიზი), ნ'ზოგბია, სოლან (65. ფრენსისი), მარტინსი (46. დაიერი), ლუკე (31. ქეროლი).

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ანდრადე, გრიგერა, მოლინარო (73. კიელინი), მარკიონი (80. სალიჰამიჯიჩი), ალმირონი (80. კ. ძანეტი), ტიაგო (73. ნოჩერინო), ნედვედი, იაკუინტა (73. პალადინო), ტრეზეგე.

გოლები: 1:0 ლუკე (9), 2:0 ქეროლი (36)

ბარსას სკოტური გაკვეთილები

"ბარსელონამ" შოტლანდიურ შეკრებაზე მეორე მატჩიც მოიგო. კატალონიელებმა ედინბურგში "ჰართსი" 3:1 დაამარცხეს. ღმერთმა იცის, კიდევ როდის გვექნება ცოცხალი "ბარსას" ნახვის შანსიო და, თამაშს 57 ათასი მაყურებელი დაესწრო. **ფრანკ რიიკაარდმა** სასტარტოში არ დააყენა **ტიერი ანრი** და **დეკუ, ლიონელ მესი** კი არც ახლავს გუნდს. "კოპა ამერიკის" გამო, წინასასეზონო შეკრებაზე მას მოგვიანებით ელიან...

მატჩი **რონალდინიოს** ბენეფისად იქცა. გარდა იმისა, რომ დუბლი შეასრულა, გაუჩიმ მაყურებელს არც ელეგანტური ფინტები და ეფექტური პასები მოაკლო. ანგარიშიც თავად გახსნა, როცა **ჯანლუკა ძამბროტას** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. ორიოდ წუთში მასპინძლებმა კატალონიელთა დაცვაში გაჩენილი ბზარით ისარგებლეს და... სტადიონი აღტაცებისგან ლამის დაინგრა...

თუმცა "ბარსამ" მეტოქეს თავი არ გაუყადრა. პირველი ტაიმის ბოლოს, ახლო მანძილიდან თავური დარტყმით, რონალდინიომ შოტლანდიის ნაკრების მეკარე **კრეიგ გორდონი** უსაქმოდ დატოვა. მესამე გოლი კი შეცვლაზე შესულმა მოთამაშეებმა შექმნეს. ანრიმ "ჰართსის" დაცვა მშრალზე დატოვა და **ჯოვანის** იდეალურად "დაუხატა" - 3:1. მერე, თავად ტიერისაც შეეძლო გატანა, მაგრამ რეალური შანსი გაანიავა.

რიიკაარდი იმდენად აღტაცებულია შოტლანდიური ტურნეთი, რომ მზადაა, მომავალ წელიწადს ეწვიოს ნისლიან ალბიონს, თუ, რა თქმა უნდა, "ბარსას" მწვრთნელად დარჩა: *"გუნდის მომზადებითა და აქაური სიტუაციით აღფრთოვანებული ვარ. ნაყოფიერ შეკრებას გავდივართ... არ ვიცი, რა მოხდება მომდევნო ზაფხულს, მაგრამ ჩემი გადასაწყვეტი თუ იქნა, შოტლანდიაში გუნდთან ერთად აუცილებლად დავბრუნდებოდი".*

ჰართსი-ბარსელონა 1:3

ბარსელონა: ვალდესი (46. ხორკერა), ძამბროტა (46. ბელეტი), ტურამი (74. კროსასი), ოლეგერი, სილვინიო (46. აბიდალი), ჩავი (87. დიმსი), ინიესტა (46. დეკუ), ტურე (65. მოტა), ესკერო (46. ანრი), რონალდინიო (46. ჯოვანი), ეტო'ო (46. ბოიანი).

გოლები: 0:1 რონალდინიო (21-პენ), 1:1 მაკელა (23), 1:2 რონალდინიო (40), 1:3 ჯოვანი (51)

ჰართსი-ბარსელონა. ტიერი ანრის ეფექტური, მაგრამ უშედეგო თავური

ინტერვიუ სერ ალექს ფერგიუსონთან

ჭევესს იმდენ ხანს დაველოდებით, რამდენიც საჭირო იქნება

იუნაიტედის თავკაცის აზრით, ლივერპულში უპრინციპო ადამიანები მუშაობენ, მაგრამ სარფიანი სატრანსფერო ვარიანტის შემთხვევაში ისიც უპრინციპოდ მოიქცეოდა...

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონს "დეილი მეილი" გაესაუბრა. გამოცდილი სპეციალისტი უკლებლივ ყველა საინტერესო საკითხს მიმოიხილავს. ის კარლოს ტევესის მოსალოდნელ ტრანსფერზე საუბრობს, კომენტარს აკეთებს ჟოზე მოურინიოს შეცდომებზე, მკაცრად აკრიტიკებს "ლივერპულს" გაბრიელ ჰაინცესთან დაკავშირებული აურზაურის გამო და მეტოქე გუნდების შანსებზე საუბარიც არ ავიწყდება.

- ორი წლის განმავლობაში, როცა "ჩელსი" დომინირებდა, ნუთუ ერთხელაც არ მოგსვლიათ აზრად, რომ შეიძლება, ვეღარასოდეს გამხდარიყავით ინგლისის ჩემპიონი?

- არა, ასეთი რამ არ ყოფილა. რამდენიმე წლის წინათ შევიმუშავეთ გეგმა, რომელსაც დღემდე ერთგულად მივყვებით. მივხვდით, რომ უნდა შეგვექმნა ახალი გუნდი. ახალი გუნდის ჩამოყალიბება კი ყოველთვის ძნელია. შეუძლებელია, 20 წელიწადი ერთსა და იმავე შემადგენლობასთან იმუშავო. ჩემთვის მსგავსი პრობლემები უცხო არ არის. ეს "მანჩესტერის" მეოთხე გუნდია, რომელთანაც ვმუშაობ. სადღაც წავიკითხე, რომ მეოთხე კი არა მეხუთეა, მაგრამ კარგად დავითვალე და ჩემი გამოთვლით, მეოთხე გამოდის. ახლის შენებისას არა ერთი რთული გადაწყვეტილების მიღება გიწევს. რომელილაც ფეხბურთელი უნდა გაყიდო. ამ ფეხბურთელს ისე შეეჩვიე, რომ მასთან გამოთხოვება გიჭირს, მაგრამ სხვა გზა არ არის. ფეხბურთს ულმობელი კანონები აქვს. მოთამაშეს, როგორც არ უნდა გიყვარდეს ის, სამუდამოდ ვერ დაიტოვებ და კლუბს ვერ მოსთხოვ, მას პენსია დაუნიშნოს. ყოველთვის დგება დამშვიდობების მომენტი და საჭირო დროს ჩვენ ყოველთვის მართებული ნაბიჯები გადაგვიდგამს. გუნდი უნდა განვითარდეს. მე ყოველთვის ამ პოზიციაზე ვდგავარ.

- ამ ზაფხულს რამდენიმე შესანიშნავი ფეხბურთელი შეიძინეთ. არის თუ არა თქვენი დღევანდელი გუნდი ყველაზე შემტევი მათ შორის, რომელიც ოდესმე გყოლიათ?

- ერთი რამ თამამად შემიძლია მოგახსენოთ, წლევანდელი ტრანსფერებით არჩევანის დიდი მრავალფეროვნება მივიღეთ. მეტსაც გეტყვით, არცკი ვიცი, ყველა ერთად როგორ ვათამაშო. გასულ სეზონში საპირისპირო მდგომარეობა გვქონდა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, "მილანთან" მატჩის წინ ძლივს შევაგროვეთ 11 ფეხბურთელი და ამიტომაც ფინალის მიღმა დავრჩით. ამჯერად ყველაფერი ვიღონეთ იმისთვის, რომ მსგავსი პრობლემები აღარ გვქონოდა.

- ამტკიცებთ, რომ კარლოს ტევესი თქვენს გუნდში ითამაშებს. მას მერე, საქმე სასამართლომდე მივიდა, არ გეშინიათ, რომ ტრანსფერი ჩაიშლება?

- სულაც არა. პირიქით, დღეს უფრო დარწმუნებული ვარ წარმატებაში, ვიდრე ოდესმე. ტევესის აგენტს ძალიან კარგი შანსი აქვს, რათა ეს საქმე მოიგოს. შესაძლოა, სასამართლოში ჩივილი სარისკო იყოს და ზოგიერთს რომ ჰკითხოთ, ჩვენ ბევრ რამეს დავკარგავთ, მაგრამ მე პირიქით მგონია. სასამართლო საუკეთესო გზაა "ვესტ ჰემთან" პრობლემების მოსაგვარებლად.

- ფიქრობთ, ყველაფერი 31 აგვისტომდე მოგვარდება? მზად ხართ თუ არა, მოიცადოთ იანვრამდე, თუ კარლოსის ტრანსფერი საზაფხულო ფანჯრის დახურვამდე არ მოესწრება?

- იმედი მაქვს, 31 აგვისტომდე მოვასწრებთ, მაგრამ მზად ვარ, ვიცადო იმდენ ხანს, რამდენი ხანიც ტევესის ტრანსფერს დასჭირდება. რაკი ამ საქმეს ხელი მოვკიდეთ, იოლად არ დავნებდებით.

- რატომ ხარჯავთ ამდენ ენერგიას?

- იმიტომ, რომ მსოფლიოში ამ დონის თავდამსხმელი ბევრი არ მეგულება. უმაღლესი კლასის ფორვარდი დიდი იშვიათობაა, მათი შეძენა კი - ჯოჯოხეთურად ძნელი. კარლოს ტევესი ფასდაუდებელი მოთამაშეა. ის ინგლისურ ფეხბურთს მოერგო. კარგად ახერხებს გუნდის გაძღოლას, რაშიც გასული სეზონის ბოლო ტურებმა დაგვარწმუნა. "ვესტ ჰემი" პირადად მან იხსნა გავარდნისგან. რა თქმა უნდა, სამხრეთამერიკელთა ტრანსფერები ყოველთვის გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ ტევესმა, როგორც კი რეგულარულად თამაშის საშუალება მიეცა, უმალ დაგვანახა, რა შეუძლია.

- რომელი პოზიციაა მისთვის ყველაზე შესაფერისი?

- ის ცენტრალური თავდამსხმელია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ნახევარდაცვაში თამაშიც შეუძლია. "ვესტ ჰემში" რამდენჯერმე მარჯვენა გარემარბად ათამაშეს. ჩემი აზრით, მისი ადგილი თავდასხმის ცენტრშია.

- რონალდო-რუნი-ტევესის ტრიო შთამბეჭდავად ჟღერს. ამ სამეულის შეჩერება ადვილი არ უნდა იყოს...

- გეთანხმებით, ჩვენს გუნდს თავდასხმაში გამორჩეული ფეხბურთელები ჰყავს. ისინი სწრაფები არიან და ძლიერად ურტყამენ. "იუნაიტედს" ორი ცენტრალური თავდამსხმელი ეყოლება, რუნი და ტევესი. რონალდოს თავისუფლად მოქმედების საშუალება ექნება. ვფიქრობ, ეს ყველაზე ეფექტური სქემა იქნება.

- გასულ კვირას ჟოზე მოურინიომ თქვა, რომ ახალ სეზონში გაცილებით თავშეკავებული იქნება. ნიშნავს თუ არა მისი განცხადება იმას, რომ თქვენს შორის სიტყვიერი ომი დასრულდა?

- ვფიქრობ, ეს მასვე წაადგება. მან თავისი გამონათქვამებით ყველაზე მეტი პრობლემა საკუთარ თავს შეუქმნა. ჟოზე სულელი არ არის. ამიტომ მიხვდა შეცდომებს. ის იმ ასაკშია, რომ ყველაფერი ეპატიება. რამდენი წლისაა? 44-ის? 44 წლისა მაშინ ვიყავი, როცა "იუნაიტედში" დავინიშნე. ძალიან კარგი იქნება, თუკი მოურინიო მკვეთრი განცხადებებისგან თავს შეიკავებს.

- ერთხელ თქვით, რომ მოურინიო ძალიან მოგწონთ. დამოკიდებულება ხომ არ შეგიცვლიათ?

- არა, ის დღესაც იმსახურებს ჩემს სიმპათიას. ჟოზემ ინგლისურ ფეხბურთს ახალი ფერები შემატა. მან ალბიონზე ჩამოსვლისთანავე აალაპარაკა მთელი ქვეყანა. ის ახალგაზრდა იყო, უტიფარი და უტიფარი გამონათქვამებით იოლად მოიპოვა პოპულარობა. მოურინიო ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა პრესას. ამიტომ ჟურნალისტებიც სიამოვნებით უთმობდნენ დროს.

- მოურინიოს პოპულარობამ ჩრდილში ხომ არ მოგაქციათ? ან იქნებ, პირიქით, მისმა პოპულარობამ პრესის მომეტებული ყურადღებისგან დაგიცვათ?

- სიმართლე გითრათ, ეს საკითხი ოდნავადაც არ მაღელვებს. ვუერთდები მათ სიხარულს, რომელთაც გულწრფელად ეამაყებათ ყოველდღე გაზეთების პირველ გვერდებზე ყოფნა, მაგრამ მე პირადად ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი ფეხბურთელების მომეტებული ყურადღებისგან დაცვას. ამ თემაზე სხვას ვერაფერს მოგახსენებთ.

- მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი გუნდი მომავალი სეზონის ფავორიტია?

- რა თქმა უნდა. სერიოზულ კონკურენციას გაგვიწევს "ჩელსი" და ვფიქრობ, "არსენალიც" საგრძნობლად მოუმატებს. "მეთოფეებმა" მარჯვენა მცველი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი შეიძინეს. ხომ არ მეშლება? მეტოქეთა მზადებას არცთუ ისე მონდომებით ვაკვირდები ხოლმე.

- მაგრამ "არსენალმა" დაკარგა ტიერი ანრი. ნუთუ ასეთი იოლი იქნება ახალ რეალობასთან შეგუება?

- ანრი გუნდს დეკემბერში გამოაკლდა. არა მგონია, მისმა წასვლამ "არსენალი" დიდად დააზარალოს. ანრის დრო წავიდა და არსენმა (ვენგერი) ეს ყველაზე ადრე გააცნობიერა. ჩემი აზრით, "არსენალი" გაძლიერდება. გუნდმა ახალი თავდამსხმელი შეიძინა. ედუარდოს ("მეთოფეების" ახალწვეული) შესახებ არაფერი ვიცი. ორ-სამ თამაშში გამოჩნდება, რას წარმოადგენს, თუმცა ლონდონელებს ადებაიორი და ვან პერსიც ჰყავთ. როცა გუნდში ამ დონის თავდამსხმელები თამაშობენ, შეუძლებელია, მას სუსტი გუნდი ერქვას, ასე არაა?

- "ლივერპულზე" არაფერი გითქვამთ. ბოლოს და ბოლოს, იბრძოლებს თუ არა ეს გუნდი ჩემპიონობისთვის?

- ლივერპულელებმა უთვალავი ფეხბურთელი შეიძინეს. მაროკოელ ლეგიონერსაც კი გაუფორმეს კონტრაქტი. ფერნანდო ტორესი, რა თქმა უნდა, ძვირფასი შენაძენია. ის ათლეტური აღნაგობისაა, შესანიშნავად თამაშობს თავით და მეტოქის კარისკენ იოლად იკვლევს გზას. ის უფრო სწრაფია, ვიდრე ბევრს ჰგონია.

- რამდენიმე წლის წინათ თქვენც გსურდათ ტორესის შეძენა, არა?

- დიახ, მას რამდენიმე წელიწადი ვაკვირდებოდით, მაგრამ ყოველ წელს "ატლეტიკოსთან" ახალ კონტრაქტს აფორმებდა. ბოლოს, ეს ყველაფერი ყელში ამოგვივიდა.

- "ლივერპული" გაბრიელ ჰაინცეს ნაყვანას ცდილობს. რა შანსი აქვს მეტოქეს?

- ჰაინცეს ისტორიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მისი აგენტი. დევიდ გილი და მე მას არაერთხელ შევხვდით. ამ კაცმა უკვე თავი მოგვაბეზრა. გაბრიელთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ ჯერ-ჯერობით, ის "მანჩესტერის" ფეხბურთელია. ეს კი მთელი ამ აურზაურის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალია. ვიმეორებ, ჰაინცე "იუნაიტედს" ეკუთვნის და არა "ლივერპულს" და სულ არ მაინტერესებს, რას წერენ გაზეთები. მის კონტრაქტში ორი წელიწადია დარჩენილი. თუ ორი წლის შემდეგ ის მანჩესტერიდან აბარგებას მოისურვებს, რა გაეწყობა, მადლობას გადავუხდით და საუკეთესო სურვილებით დავემშვიდობებით.

- ჰაინცე რომ "იუნაიტედში" დარჩეს, როგორ მოეპყრობა მას გულშემატკივარი? და კიდევ, "ლივერპულის" საქციელი ნერვებს ხომ არ გიშლით?

- გულშემატკივარს ის ფეხბურთელი უყვარს, რომელიც კლუბის ერთგულია. გაბრიელის ერთგულებაში დაეჭვების საფუძველი კი არ გვაქვს. რაც შეეხება "ლივერპულს", ამ კლუბში უპრინციპო ადამიანები მუშაობენ. ერთ მშვენიერ დღეს მათთან აგენტი მივიდა და სარფიანი გარიგება შესთავაზა. დასხდნენ, იმსჯელეს და გადაწყვიტეს ფეხბურთელის ყიდვა. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩემთან რომ ჯერარდის აგენტი მოსულიყო და მისი შეძენა შემოეთავაზებინა, მეც ესე მოვიქცეოდი.

- სადაცაა, კრისტიანო რონალდო ისეთივე პოპულარული გახდება, როგორიც თავის დროზე დევიდ ბექჰემი იყო. ამის ნათელსაყოფად თქვენი გუნდის აზიური ტურნეც გამოდგება. არ გეშინიათ, რომ ასეთი პოპულარობა მას ყურადღებას გაუფანტავს?

- ნებისმიერი ნიჭიერი ადამიანი საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა. ჩვენი კლუბი ამას უკვე შეეჩვია. თავის დროზე ზუსტად ასეთი ამბები ხდებოდა ჯორჯ ბესტისა და რაიან გიგზის გარშემოც. "მანჩესტერის" ვარსკვლავებს მოსვენება არასოდეს ჰქონიათ. სასიხარულოა, რომ "იუნაიტედში" ტალანტები შესაშური ინტენსივობით ჩნდებიან.

- მაგრამ ბექჰემის ისტორია არცთუ სასიამოვნოდ დასრულდა. არ გეშინიათ, რომ რონალდოს შემთხვევაშიც ანალოგიური განმეორდება?

- კრისტიანო მხოლოდ 22 წლისაა. ამ ასაკში ადამიანები ხშირად უშვებენ ხოლმე შეცდომებს. მახსოვს, რაიან გიგზი დაახლოებით რონალდოს ხნისა იყო, როცა ერთ დღეს ვარჯიშზე ახალი პიჯაკით გამოცხადდა. მივუბრუნდი და ვკითხე, ეს პიჯაკი სად ამოქექე-მეთქი? ახალგაზრდებს სურთ, ჩაიცვან ყველასგან განსხვავებულად. მათ მეტი თავისუფლება სურთ. ჰგონიათ, რომ უკვე ზრდასრული ადამიანები არიან. სინამდვილეში კი ზრდასრულობამდე ბევრი უკლიათ. კრისტიანოს შემთხვევა სხვებისგან განსხვავებული არ არის. ის სამი წელიწადია, მანჩესტერში ცხოვრობს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. მაგრამ კრისტიანოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის სერიოზული ყმაწვილია. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ახალგაზრდა, როცა განუწყვეტლივ ჟურნალისტების ყურადღების ცენტრშია. რონალდოს თავი კარგად უჭირავს. არა მგონია, ეს აურზაური სიამოვნებას ანიჭებდეს. პრობლემა მაშინ გაჩნდება, თუ მას კამერების წინ პოზიორობა გაიტაცებს.

- მაგრამ მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. გაუძლებს ის ამხელა ტვირთს?

- ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავ, რათა კრისტიანოს გამო ვინერვიულო. ვიმეორებ, ის პრობლემებს შესანიშნავად ართმევს თავს.

- მიგაჩნიათ თუ არა, რომ მომავალ სეზონში რონალდოს ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაზე წარადგენენ?

- იმედია, სწორედ ასე მოხდება. ვფიქრობ, ის ორ-სამ პირად ჯილდოს მოიპოვებს. გასულ სეზონში მან ფანტასტიკურად ითამაშა და 23 გოლი შეაგდო. მართალია, აქედან ოთხი-ხუთი გოლი პენალტით გაიტანა, მაგრამ 18 გოლიც დიდებული შედეგია. მოგეხსენებათ, რონალდო გამოკვეთილი თავდამსხმელი არ არის, თუმცა საჭირო დროს თავდასხმის მთელ პერიმეტრზე ეხერხება თავის გამოჩენა.

ინტერვიუ სანტიაგო კანისარესთან

ჰილდებრანდის არ მეშინია

"ვალენსიის" 37 წლის გოლკიპერი დროს არ ემორჩილება. მისი ასაკის კაცისთვის პენსიაზე გასვლა ყველაზე ლოგიკური გადაწყვეტილება იქნებოდა, მაგრამ სანტიაგო კანისარესი ყველა წესის წინააღმდეგ მიდის და შეჩერებას კვლავ არ აპირებს. ვეტერანი ესპანელი მეკარე ახალი სეზონისთვის 20 წლის ახალგაზრდის შემართებითა და ენთუზიაზმით ემზადება.

- სანტიაგო, მერამდენე პრეტემპორადას ატარებთ?

- სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს. 15 წლის ასაკში "კალვო სოტელოს" ახალგაზრდულ გუნდში თამაში დავიწყე. მას შემდეგ 23-ე სეზონისთვის ვემზადები. სრულწლოვანი არ გახლდით, ამიტომ ხელფასს არ მიხდიდნენ. 1986 წლიდან კი პროფესიულ კარიერას შევუდექი. მგონი, მართლაც ყვავის ხნის ვარ (იცინის).

- 23 წლის გასვლის შემდეგ მომდევნო სეზონს როგორ ეგებებით?

- გულწრფელად რომ გითხრათ, ახლა განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას ვიღებ. აშკარად პრივილეგირებული ფეხბურთელი ვარ. ამდენი თავგადასავლისა და უშელავათო ბრძოლის შემდეგ კვლავ მოვლენათა ეპიცენტრში ვიმყოფები. ალბათ, ბევრისთვის გასაოცარია, რომ ბებერი სანტიაგო კანისარესი უწინდებურად კონკურენტუნარიანია. ფიზიკური თვალსაზრისით არანაირი პრობლემა არ მანუხებს. ვარჯიში მთელი ზაფხულის განმავლობაში არ შემიწყვეტია. როცა სხვები შვებულებაში იყვნენ და მოედნისკენ საერთოდ არ იყურებოდნენ, მე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. ამის წყალობით, სასურველი კონდიციები შევინარჩუნე. კიკე სანჩეს ფლორესმა სიხარულით მითხრა, არც რეაქცია დაგიკარგავს და ფიზიკურადაც ფანტასტიკურად გამოიყურებიო. ამპარტავნებაში თუ არ ჩამომართმევთ, მოგახსენებთ, რომ მთავარ მწვრთნელს უსიტყვოდ ვეთანხმები. ძალიან კმაყოფილი ვარ.

- ახლაც ისევე მოტივირებული ხართ, როგორც 25 წლის ასაკში?

- გაცილებით მეტად, ვიდრე წლების წინათ. თითქოს სხეულში ცოფი გამიჯდა. არ მინდა, რომ გავჩერდე და ფარ-ხმალი დავყარო. ვგონებ, პროფესია კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა. ვიცი, რომ ბევრი ადამიანი ჩემ წინააღმდეგაა ჩასაფრებული. ყველა ღიმილითა და მეგობრული მზერით არ მიყურებს. ვალდებული ვარ, სკეპტიკოსებს ვაჯობო. არ დავუშვებ, რომ მათ გაიხარონ და საქვეყნოდ დავი მოვიჭრა. აი, ეს არის ჩემი მოტივაცია.

- სხვადასხვა დროს პრიმერა დივიზიონში, ჩემპიონთა ლიგაში, უეფას თასზე, ესპანეთის სამეფო თასზე გაიმარჯვეთ. განა დარჩა რაიმე ტიტული, რომელიც აქამდე არ მოგიპოვებიათ?

- მართლაც ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში უამრავ წარმატებას მივაღწიე. ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. კარიერას დღეს რომ ვასრულებდე, გული არაფერზე დამწყდებოდა... მიუხედავად ამისა, მოტივაციის ნაკლებობა არ დამემუქრება. მჯერა, რომ კარიერის საუკეთესო წუთები ჯერაც წინ მელის. ასე რომ, ბრძოლა უნდა გავაგრძელო.

- როგორ ფიქრობთ, კონტრაქტს აღარ გაახანგრძლივებთ?

- სანტიაგო კანისარესი ფეხბურთის თამაშს აგრძელებს. "ვალენსიასთან" კიდევ ოცთვიანი კონტრაქტით ვარ დაკავშირებული. თუ იმ მომენტისთვის პრობლემები არ შემექმნება და კლუბის შეთავაზებას მივიღებ, კარიერას კიდევ არ დავასრულებ. აზრს მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიცვლი, თუ ოჯახის წევრები

სანტიაგო კანისარესი

ფეხბურთიდან წასვლას მომთხოვენ. დასამალი არ არის, რომ უმძიმესი გრაფიკის გამო ოჯახის წევრებს საჭირო ყურადღებას ვერ ვაქცევ.

- თუ თამაშს გააგრძელებთ, ალბათ, "ვალენსიაში" დარჩებით...

- რა თქმა უნდა. სხვა კლუბის მაისურით მოედანზე გასვლა ჩემთვის წარმოუდგენელია. არ ვიცი, როდის, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ კარიერას "ვალენსიაში" დავასრულებ.

- მოარული ხმების თანახმად, ბოლო დროს კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაგიფუჭდათ. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?

- არა. ყველაფერი პირიქითაა. გუნდის შეფებთან ფრიად თბილი, გულითადი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. იმავეს ვიტყოდი მთავარი მწვრთნელისა და თანაგუნდელების შესახებაც. მიმდინარე პრეტემპორადა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ "ვალენსია" ერთ მუშტად შეკრული კლუბია. არ მგონია, სხვა კლუბების მოთამაშეებს ერთმანეთთან ასეთი მეგობრობა ჰქონდეთ. ჩვენი საერთო მოწოდება და ამოცანა არა დესტრუქცია, არამედ კონსტრუქციაა. აქედან გამომდინარე, ყველა ცდილობს, რომ პირადი ამბიციები წინა პლანზე არ წამოაყენოს. მოკლედ, მცდარი ინფორმაცი გაქვთ.

- როგორ ფიქრობთ, ამადეო კარბონის თანამდებობიდან გაშვებით "ვალენსია" მოგებული დარჩა? ცნობილია, რომ ყოფილ გენერალურ დირექტორს მთავარ მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ეს დაძაბულობა კი ფეხბურთელებზე ცუდ გავლენას ახდენდა...

- ჩემი აზრით, უმჯობესია, ამადეო კარბონის ნაცვლად ახალ გენერალურ დირექტორზე ვისაუბროთ. მან ყველას შეგვაყვარა თავი. ჯერ ძალიან ცოტა ხანია მუშაობს, მაგრამ დავინახეთ, რომ ამ კაცის მისწრაფება გუნდური სულისკვეთების განმტკიცებაა. თამამად ვიტყვი, რომ "ვალენსიაში" ძალიან მშვიდი გარემოა. იცით, რატომ აღარ ღირს კარბონიზე საუბარი? იმიტომ, რომ ის წავიდა. გადაწყვეტილებებს კი მოქმედი ჩინოსნები იღებენ.

- რა გაიფიქრეთ, როცა კარბონის გათავისუფლების შესახებ შეიტყვეთ?

- ჩემთვის ვთქვი, რადგან ეს ნაბიჯი გადადგეს, ესე იგი მართლები არიან-მეთქი. ყოველთვის ძნელია, ადამიანს უთხრა, შენი მუშაობით უკმაყოფილო ვარ და სამსახური უნდა დატოვოო... მაგრამ ზოგჯერ ეს გარდაუვალი ხდება. ალბათ, არასოდეს ვისურვებ, პრეზიდენტი გავხდე. ადამიანური თვალსაზრისით კოლეგისთვის მსგავსი სიტყვების თქმა ჯოჯოხეთურად რთულია.

- მომავალ სეზონში რა მიზნებითვის იბრძოლებთ?

- ხმაურიანი განცხადებების გაკეთება და გულშემატკივრებისთვის კონკრეტული ტიტულების შეპირება არასოდეს მახასიათებდა. ეს საქმე უბრალოდ არ მიყვარს. მირჩევნია, რეალობაზე ვისაუბრო, ვიდრე 2008 წლის მაისის მოვლენები ვიწინასწარმეტყველო. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევაა. შემდეგ კი პრიმერა დივიზიონის წარმატებული დებიუტი უნდა უზრუნველვყოთ. იმისათვის, რომ მაისში გავიზაროთ, თვეების განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ წინ სიარულია საჭირო.

- თქვენი განუყრელი მეგობრის, რობერტო ფაბიან აიალას წასვლის შემდეგ უპატრონოდ მიგდებულად ხომ არ გრძნობთ თავს?

- აიალას წასვლას ძალიან დიდი ხნის წინათ შევეგუე. ვიცოდი, რომ წელს ერთად აღარ ვითამაშებდით. რა თქმა უნდა, მეტისმეტად მწყდება გული, მაგრამ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ რობერტო ფაბიანის წასვლა "ვალენსიას" დაღს ვერ დაამჩნევს. დარწმუნებული ვარ, არგენტინელს უპრობლემოდ შეეცვლით.

- წესით, აიალას კარიერა მეზობელ "ვილიარეალში" უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ საბოლოოდ ის "სარაგოსაში" აღმოჩნდა. ელოდით მოვლენათა ამგვარ განვითარებას?

- საიდან უნდა მცოდნოდა, რომ "სარაგოსა" რობერტო ფაბიანს "ვილიარელთან" კონტრაქტს გააწყვეტინებდა და საკომპენსაციო თანხას გადაიხდიდა? თუმცა ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ აიალაზე ყოველთვის იქნება მოთხოვნა. ჩემი მეგობარი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და საიმედო მცველია. ვერ წარმოიდგენთ, რამდენჯერ გადავურჩენივარ გარდაუვალი გოლისგან. "სარაგოსას" გაბრიელ მილიტოს გასხვისების შემდეგ მაღალკვალიფიციური მცველი დასჭირდა და სწორი არჩევანი გააკეთა. აიალაზე უკეთეს მცველს ისინი უბრალოდ ვერ იპოვნიდნენ.

- ჰილდებრანდის ტრანსფერს როგორ აფასებთ? ბევრს ჰგონია, რომ "ვალენსიის" ახალწვეული ძირითადი შემადგენლობიდან ამოგაგდებთ...

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჰილდებრანდი ფანტასტიკური მეკარეა. მერწმუნეთ, მასთან ურთიერთობისას პრობლემებს არ შევქმნი. დაე, ძირითადში იმან ითამაშოს, რომელიც საუკეთესოდ იქნება მომზადებული.

- სხვათა შორის, კიკე ფლორესმა თქვა, კანისარესსა და ჰილდებრანდს უშელავათო კონკურენცია ექნებათო. მთავარი მწვრთნელის თქმით, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული სულაც არ გაქვთ. მისი სიტყვებით შეურაცხყოფილი ხომ არ დარჩით?

- რა სისულელეა. აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ ორმა მეკარემ ძირითადში მოსახვედრად ერთმანეთს უშელავათო ბრძოლა გამოუცხადონ. ბრძოლას, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით ვამბობ. დარწმუნებული ვარ, უღირსობას არც ერთი ვიკადრებთ. თუ ჰილდებრანდი ჩემზე უკეთ იქნება მომზადებული, მე რატომ უნდა მომენიჭოს უპირატესობა? ერთი სიტყვით, ყველაფერი ჯანსაღი კონკურენციით გაირკვევა. მთავარია, რომ ყველაფრისთვის მზად ვარ. ჰილდებრანდის ოდნავადაც არ მეშინია.

ილია ნიკოლაიშვილი

დედე

ჩაშლილი ტრანსფერი

დედე რომაში არ წავა

10 მილიონს არ გადავიხდითო...

გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, რომ დიდი შანსი იყო, დორტმუნდის "ბორუსიის" ბრაზილიელი განაპირა მცველი დედე იტალიის ვიცე-ჩემპიონ "რომაში" გადასულიყო, დღეს კი შეგვიძლია დანამდვილებით გამცნოთ, რომ ტრანსფერი ჩაიშალა და არ შედგება. ეს ინფორმაცია გუშინ "ბორუსიის" სპორტულმა დირექტორმა მიხაელ ცორკმა დაადასტურა. მხარეები სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

"თანხა, რომელიც "რომამ" შემოგვთავაზა, ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს თემა უკვე დახურულია, დედე ჩვენთან რჩება. ამის თაობაზე თვითონ ფეხბურთელსაც ვაცნობე. მან ეს ყველაფერი ისე მიიღო, როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა," - გაუცხადა ცორკმა "კიკერს".

დედე რომაელთა თვალთახედვის არეში იმ ამხანაგური მატჩის შემდეგ მოხვდა, რომელშიც იტალიელები დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონზე", "ბორუსიასთან" 0:4 დამარცხდნენ. 29 წლის ბრაზილიელი გასულ კვირას "ჯალოროსის" სკაუტს ალესანდრო ლუკის შეხვდა და მასთან მოლაპარაკებები გამართა რის შემდეგაც, უკვე გუნდებმა დაიწყეს მოლაპარაკება. "რომა" 6 მილიონის გადახდაზე იყო თანახმა, დორტმუნდელები კი მინიმუმ 10 მილიონს ითხოვდნენ.

"საერთოდ, დედე არ იყიდება, რადგან ის გუნდის სული და გულია. მაგრამ მან "ბორუსიას" იმდენი რამ გაუკეთა, რომ რაკი ასეთი შანსი მიეცა და თანაც თქვა, რომ "რომაში" სიამოვნებით გადავიდოდა, იტალიურ კლუბთან მოლაპარაკებები დავიწყეთ. მაგრამ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეველეოდით, თუ "რომა" 10 მილიონს გადაიხდიდა," - ეს BVB-ს გენერალური მენეჯერის **ჰანს-იოახიმ ვატციკეს** სიტყვებია.

დედე, ანუ ლეანდრო დე დეუს სანტოსი დორტმუნდულ კლუბში 1998 წლიდან თამაშობს და ერთ-ერთი ყველაზე ძველი ბორუსიელია. ბრაზილიელი მარცხენა მცველი "ვესფალენშტადიონის" პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელიც გახლავთ. ბუნდესლიგაში BVB-ს მაისურით 259 შეხვედრაში 11 გოლი აქვს გატანილი...

ტრანსფერი

ჰამბურგმა კასტელენი იყიდა

რიგით მეოთხე ჰოლანდიელმა მაჰდავიკია უნდა შეცვალოს...

ინტერტოტოს თასზე წარმატებით გამოსვლისა და უეფას თასის საგზურის განაღდების შემდეგ, "ჰამბურგმა" კიდევ ერთი სარფიანი გარიგება გაჩარხა. HSV-მ ჰოლანდიის ნაკრებისა და როტერდამის "ფეიენორდის" მარჯვენა ნახევარმცველი **რომეო კასტელენი** შეიძინა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ჩრდილოელებს ამ 24 წლის ფეხბურთელის გადაბირება 3 მილიონი ევრო დაუჯდათ. **რაფაელ ვან დერ ვაარტის, იორის მატიისენისა** და **ნაიჯელ დე იონგის** შემდეგ, კასტელენი რიგით მეოთხე ჰოლანდიელია, რომელიც "ჰამბურგის" ღირსებას დაიცავს. ახალგაზრდა ნახევარმცველმა HSV-სთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა.

"რომეო სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელია, რომელიც მარჯვენა ფლანგ ზე გაგვაძლიერებს. ძალიან გვიხარია, რომ ტრანსფერი შედგა," - აცხადებს "ჰამბურგის" სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი** ფეხბურთელზე, რომელმაც **ჰუუბ სტევენსის** გუნდში, **მეჰდი მაჰდავიკიას** წასვლით გაჩენილი სიცარიელე უნდა შეავსოს.

კასტელენამდე ჰამბუგელები ამ პოზიციისთვის აინტრახტელი ალბერტ შტრაიტის, ფრაიბურგელი ჯონათან პიტროიპასა და ნანტელი **კრისტიან ვილჰელმსონის** გადაბირებას ცდილობდნენ, მაგრამ ეს ტრანსფერები იმის გამო არ შედგა, რომ გუნდებმა დიდი თანხები მოითხოვეს. აქვე გეტყვით, რომ "ჰამბურგის" ბოსებმა თანხმობა გასცეს იმის შესახებ, რომ გუნდმა ბერლინის "ჰერტას" 18 წლის მარჯვენა მცველ **ჯერომ ბიატენგის** სანაცვლოდ 1 მილიონი ევრო გადაიხადოს. როგორც იცით, ბოატენგი HSV-ს დიდი ხნის წინათ მოურიგდა. "ჰერტა" თავიდან 1.5 მილიონს ითხოვდა...

სამწვრთნელო დანიშვნები

ბულგარეთს პენევი დაუბრუნდა

ბულგარეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მეორე ვადით დაინიშნა **დიმიტარ პენევი**, რომლის სახელსაც უკავშირდება ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის ისტორიული წარმატება (მეოთხე ადგილი) შეერთებულ შტატებში 1994 წელს ჩატარებულ მუნდიალზე. 62 წლის პენევი ვაკანტურ პოსტზე შეცვლის მის ყოფილ შეგირდ **ხრისტო სტოიჩკოვს**, რომელიც აპრილში ვიგოს "სელტას" ჩაუდგა სათავეში (სტოიჩკოვის წასვლის შემდეგ ბულგარეთის ნაკრებს დროებით **სტანიმირ სტოილოვი** წვრთნიდა).

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბორისლავ მიხაილოვმა**, რომელიც ასევე პენევის დროს ეროვნული გუნდის მეკარე გახლდათ, დაადასტურა რა ახალი მწვრთნელის დანიშვნა, ისიც დასძინა, რომ კანდიდატურა უშუალოდ ნაკრების მოთამაშეებთან შეათანხმა.

ამ მომენტისთვის, ბულგარეთის ნაკრები ევრო 2008-ის G ჯგუფში მეორე ადგილზეა. პენევის ხელახალი დებიუტი 22 აგვისტოს, უელსთან საშინაო ამხანაგურ შეხვედრაში შედგება. რაც შეეხება ოფიციალურ მატჩს, პენევს გაცილებით სერიოზული გამოცდა 8 სექტემბერს, მესამეადგილოსან ჰოლანდიასთან გასვლით შეხვედრაში ექნება.



დიმიტარ პენევი



ბერნდ შტანგე

ბელარუსს გერმანელი გაწვრთნის

გამოცდილი აღმოსავლეთგერმანელი სპეციალისტი **ბერნდ შტანგე** ბელარუსის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაამტკიცეს. შტანგემ, რომელიც ამ პოსტზე **იური პუნტუსს** შეცვლის, ადგილობრივ ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. გერმანელი 59 წლისაა. მისი ბოლო სამუშაო კვიპროსული "აპოლონი" იყო, საიდანაც ამ წლის დასაწყისში დაითხოვეს. 2004 წელს ის აიძულეს, დაეტოვებინა ერაყის ნაკრები. უფრო ადრე კი შტანგეს გდრ-ის ნაკრებში, "ჰერტაში", ავსტრალიურ "პერს გლორიში", უკრაინულ "დნეპრში", კიევის ცსკა-სა და ომანის ეროვნულ გუნდში უმუშავია. საინტერესოა "ჰერტადან" მისი დათხოვნის მიზეზი - როგორც გაირკვა, კომუნისტური გერმანიის პერიოდში შტანგე საიდუმლო პოლიციის (შტაზი) აგენტი ყოფილა...

აგლეგბიკო ახალ სტადიონზე

მადრიდის "ატლეტიკო" ქალაქის მუნიციპალიტეტს მოურიგდა, კლუბი "ესტადიო ლა პეინეტაზე" გადავა. მის დღევანდელ არენას, "ვისენტე კალდერონს" კი დაანგრევენ და მის ადგილზე მდინარისპირა პარკს გააშენებენ. "ლა პეინეტა" ქალაქის ცენტრში მდებარე არენაა. მადრიდი 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას. მისი ოლიმპიური განაცხადის უმთავრესი ობიექტი ეს არენა იქნება. სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მისი ტევადობა 73 ათასამდე გაიზარდა. "ატლეტიკო" "ლა პეინეტაზე" სავარაუდოდ 2010 წლისათვის დაბინავდება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

მორიგდნენ, ყრილობა არ იქნება!

ლეილა მესხი პრეზიდენტად რჩება

ლეილა მესხი

დავით ლანჩავა



გიორგი გაბაშვილი

დავით ნამგალაური

ასეთი ვერდიქტი გამოიტანეს გუშინ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტროში. დღის ხუთ საათზე მინისტრმა **გიორგი გაბაშვილმა** საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხი** და მასთან დაპირისპირებულია, კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტი **დავით ლანჩავა** მიიწვია. მოგეხსენებათ, დავით ლანჩავა სათავეში ედგა ჩოგბურთში მოღვაწეთა ერთ ჯგუფს, რომელიც ლეილა მესხის მუშაობით უკმაყოფილო იყო და მის გადადგომას ითხოვდა. რიგგარეშე ყრილობა დღეს, 31 ივლისს უნდა შემდგარიყო.

ყრილობა არ შედგება და ჩოგბურთით დაინტერესებულ ხალხს საკუთარი ნების გამოხატვა 2008 წლის ოქტომბერში, წესდებით დადგენილ ვადაში მოუწევს, თუმცა იქამდე პრობლემაზე ყურადღების გამახვილება და საკუთარი მოსაზრების გახმოვანება სამუშაო რეჟიმში - ფედერაციის გამგეობასა თუ მმართველი საბჭოს სხდომაზე შეუძლიათ.

სასიამოვნოა, რომ კონფლიქტი უმტკივნეულოდ მოგვარდა და მხარეები მშვიდობიანად დაშორდნენ, რაშიც დიდი წვლილი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრსა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს მიუძღვით.

ლეილა მესხი: - უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო გიორგი გაბაშვილსა და დავით ნამგალაურს. მათ მოგვცეს საშუალება, რომ დავმსხდარიყავით მოლაპარაკების მაგიდასთან და კონსტრუქციულად გვესაუბრა. უპრობლემო ფედერაცია არ არსებობს, - ჩვენც გვაქვს რიგი საკითხები, სადა უკეთ მოქმედებაა საჭირო. მაგრამ, მთავარია, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა თავად გვსურს, ვხედავ კიდეც და ვცდილობთ აღმოვფხვრათ. მთავარია, რომ ფედერაციაში ჯანსაღი გარემო იყოს - ურთიერთობები უნდა გვაძლევდეს მშვიდად მუშაობის საშუალებას - სხვაგვარად პრობლემას ვერ მოევლება. ჩვენი მიზანია, ჩოგბურთის განვითარება და მიხარია, რომ სახელმწიფოც ასე უყურებს ამ საკითხს - ჩოგბურთში დიდ ინვესტიციებს დებს, რითაც მის პრიორიტეტულობას აღიარებს. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გახმოვანდა სურვილი, რომ ჩოგბურთი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სახეობად იქცეს ჩვენში, ამ მიზნით აშენდება საჩოგბურთო კორტები და ხელი შეეწყობა საქართველოში ჩოგბურთის პოპულარიზაციას.

დავით ლანჩავა: - ჩვენთვის არ არის თვითმიზანი არჩევნები ან ვინმეს თანამდებობიდან გადაყენება; მთავარია, ჩოგბურთში არსებული პრობლემები აღმოიფხვრას და ხელი შეეწყოს ჩვენში ამ სახეობის განვითარებას. პრობლემები ქართულ ჩოგბურთში არსებობს და ამას ვერ გავექცევით - ჩვენი მიზანიც პრობლემებისგან გათავისუფლება იყო.

დავით ნამგალაური: - კომპრომისი აუცილებელი იყო და, კარგია, რომ მხარეებმა მოილაპარაკეს, რის გამოც არჩევნები კალენდარულ დროს, 2008 წლის ოქტომბერში გაიმართება. თუმცა არავინ იფიქროს, რომ დავინყებას მიეცემა ის პრობლემები, რაც რეალურად არსებობს ფედერაციაში. ამ საკითხებზე აქტიური მუშაობაა საჭირო. იმედია, მომავალში მსგავს დაპირისპირება თავს აღარ იჩენს.

მსგავსი პოზიცია აქვს სამინისტროსაც და, ცხადია, მისი კონტროლი უფრო გაიზრდება - წილი ნაყარია და მოდუნების, მით უფრო, შეცდომის უფლება არავის ექნება. ამ დაპირისპირებაში გამარჯვებულს ვერ გამოვარჩევთ, ვერც დამარცხებულს, მაგრამ თუკი გულისყურით არ მოეკიდნენ საკითხს, მცირე ხანში მთლიანად ქართული ჩოგბურთი წაადგებს. სამინისტროში შემდგარი შეხვედრის მთავარი მონაპოვარიც და აზრიც ეს იყო...

ზვიად შათირიშვილი

TBILISI CITY HALL CUP

6 ქართველი ძირითად ბადეში

"კოკა-კოლას" თასის გათამაშების დასრულებისთანავე იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსის კორტებზე ახალი ტურნირი Tbilisi City Hall Cup დაიწყო. საპრიზო ფონდი აქაც 15 000 დოლარია და მონაწილეობა ლამის იგივენი არიან, თუმცა მცირე ცვლილება მაინც არის და განსაკუთრებით ეს განთესილებს ეხებათ: თუკი "კოკა-კოლაზე" პირველ ნომრად რუსი **მიხაილ ელგინი** მოგვევლინა, ამჯერად პირველობა ხორვატი **ივან ჩეროვიჩის** სარგოა. ხორვატის რეიტინგი 463-ეა მსოფლიოში, მაშინ როცა რუს ელგინს 488-ე პოზიცია უკავია. ცხადია, ხორვატია დამატებით ინტერესსაც შემატებს ასპარეზობას, მაგრამ ფაქტია, რომ რეიტინგით პირველობა გამარჯვების გარანტიას არ იძლევა - წინა ტურნირზე ელგინმა ხომ მეოთხედფინალში დაასრულა ასპარეზობა...

ჩეროვიჩის დამატებით ნომრები შეეცვალა მომდევნო განთესილებსაც, მათ შორის **ლადო ჩიხლაძესაც** - იგი ამჯერად მეოთხეა. სულ ძირითად ბადეში, სადაც 32 ჩოგბურთელი ითამაშებს, 16 ქვეყნის წარმომადგენელია. მათგან რამდენიმე ქვეყანას ორი და მეტი მოთამაშე ჰყავს... ეს ქვეყნებია: რუსეთი, ისრაელი, ირლანდია, ბელარუსი, არგენტინა, უკრაინა, საქართველო, სლოვაკეთი, მოლდოვა, საფრანგეთი, ჩეხეთი, ყაზახეთი, სომხეთი, ახალი ზელანდია და ხორვატია.

ძირითად ბადემდე, როგორც ნებისმიერ საჩოგბურთო ტურნირზე, საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა, საიდანაც 8 ჩოგბურთელი შეირჩა და დაემატა ადრევე უფლებამიღებულ 24 წვრს. საკვალიფიკაციოში 11 ქართველი ჩოგბურთელი ცდიდა ძალას, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი კვალიფიკაცია საკმარისი არ აღმოჩნდა და ძირითად ბადეში მხოლოდ ერთმა - **ჯერალდ ოგანეზოვმა** გააღწია. როგორც გახსოვთ, "კოკა-კოლას" თასზეც თითქმის მსგავსი სურათი იყო - კვალიფიკაციაში წარმატებას მხოლოდ **რევაზ ოსაძემ** მიაღწია, თუმცა მთავარი ტურნირის პირველ ეტაპს ველარ გასცდა, ისევე, როგორც სხვა ოთხი ქართველიც...

ვინაიდან მასპინძლები ვართ, უაილდქარდების პრიორიტეტი უპირველესად ქართველები სარგებლობენ და "კოკა-კოლას" თასის ძირითად ბადეშიც ჩვენებურების ყოფნაც ამის შედეგი იყო. ასეა ამჯერადაც - თბილისის მერიის თასისთვის პირველ ეტაპზე ბრძოლას 6 ქართველი დაიწყებს, რომელთაგან განთესილი მხოლოდ ლადო ჩიხლაძეა - იგი მეოთხე ნომერი გახლავთ; დანარჩენები კი - ოგანეზოვის გარდა, პერსონალურად არიან მიწვეულნი - ამ პატივით ამჯერად **ნიკოლოზ ქურდაძემ, გიორგი ხრიკაძემ, გიორგი ჭანტურიამ** და რევაზ ოსაძემ ისარგებლეს.

პირველ წრეში ორი ქართული წყვილია. ქურდაძე ხრიკაძეს ხვდება, რაც მეორე ტურში ერთი ქართველის გასვლა გარანტირებულია. ასეთი რამ "კოკა-კოლაზე" არ მომხდარა და ამიტომ მხოლოდ ჩიხლაძის იმედზე ვიყავით. საბედნიეროდ ჩიხლაძემ ბოლომდე გაგვიმართლა და ტურნირიც მოიგო. იმედია, ამჯერადაც არ მოეცარება ხელი და მეორე ქართულ ტიტულს შესწვდება...

ლადო ჩიხლაძე, გვჯერა, პირველ ეტაპს იოლად დაძლევს, - მისი მეტოქე ჯერალდ ოგანეზოვია; გიორგი ჭანტურია ებრაელ **გაი კუბის** შეხვდება, რევაზ ოსაძე კი მეხუთე ნომრად განთესილ უკრაინელ **ვლადისლავ ბონდარენკოს** დამარცხებას ეცდება.

თამაშები დილის 10 საათიდან დაიწყება.

ზვიად შათირიშვილი

ჰაღათბურთი

ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

ვლადივოსტოკი გადაწყვეტილია

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, ვლადიმერ ბოისას კარიერაში ახალი ეტაპი იწყება. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია ამბავია, რომ იგი შემდეგ სეზონს რუსეთის ჩემპიონატში გაატარებს. ვლადივოსტოკის "სპარტაკ-პრიმორიესთან", თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია და მხოლოდ ბოისას რუსეთში ჩასვლაღაა საჭირო, რათა კონტრაქტს ხელი მოაწეროს. ეს ამბავი გუშინ, თავად ვოვამ გაგვანდო, როდესაც სლოვენიაში შევხმიანეთ.

- ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ რუსეთის "სპარტაკ-პრიმორიეში" გავაგრძელებ კარიერას. სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ძალიან ბევრი ვიფიქრე, სხვა კლუბების წინადადებებიც განვიხილე და, ბოლოს, მაინც რუსეთი ვამჯობინე.

- რამ განაპირობა ასეთი არჩევანი?

- უპირველეს ყოვლისა, ვლადივოსტოკელებმა, საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს. ამასთან, მათ ახალ სეზონში, დიდი ამბიციებიც აქვთ. ერთი ეგაა, ვლადივოსტოკი საკმაოდ შორსაა, მაგრამ არა უშავს...

- რამდენწლიან კონტრაქტს გთავაზობენ?

- ერთწლიან ხელშეკრულებას ვაფორმებ. სეზონის დასრულების შემდეგ კი ვნახოთ...

- სლოვენიისა და იტალიის ჩემპიონატებში თამაშის შემდეგ რუსეთში გადასვლა უკანგადადგმული ნაბიჯი ხომ არ იქნება?

- არ მგონია. რუსეთის ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონისაა. ცსკა და "დინამო" ევროგრანდები არიან, რომლებმაც წლეულს ევროლიგა და ულეების თასი მოიგეს. ასევე სოლიდურ გუნდებად ითვლებიან "უნიქსი" და "ხიმკი". ასეთ კომპანიაში, ერთი სეზონის განმავლობაში თამაში ძალიან საინტერესოდ მეჩვენება. ამასთან, სათამაშო დროც საკმარისად მექნება.

- საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ. როდის შეუერთდები გუნდს?

- ნაკრებში დროულად ჩამოსვლა ძალიან კი მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ჯერ ვერ ვახერხებ. მეუღლე ორსულად მყავს, დღე-დღეზე ველოდებით ბავშვს და როგორც დაიბადება, მაშინვე ნაკრებს შევუერთდები.

- "სპარტაკ-პრიმორიესთან" ნაკრებში ჩამოსვლამდე გააფორმებ კონტრაქტს თუ სანაკრებო ბატალიების შემდეგ?

- ნაკრებში ჩამოსვლამდე, რადგან თუ კონტრაქტზე ხელის მოწერას დავაგვიანებ, არის რისკი, რომ რუსეთში გადასვლა ჩამეშალოს. სულ რაღაც ერთი დღითაა საჭირო მოსკოვში ჩასვლა, კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და კონტრაქტის ოფიციალურად გაფორმება.

ბოისასთან საუბრის შემდეგ, "სპარტაკ-პრიმორიეს" შედეგებს გადავხედეთ. რუსეთის ჩემპიონატის წლევანდელ სეზონში, მათ 24-დან 12 მატჩის მოგებით, მეშვიდე ადგილზე დაასრულეს რეგულარული პირველობა. ფლეიოფში კი მეოთხედფინალშივე წააგეს "უნიქსთან" - 0:3.

აღსანიშნავია, რომ ეს გუნდი, შარშან, **ნიკოლოზ ცქიტიშვილსაც** იწვევდა, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო ტრანსფერი ჩაიშალა და ნიკა ესპანურ "კახა სან ფერნანდოში" გადავიდა. ზემოთ, ბოისამ თქვა, რომ "სპარტაკს" წლეულს დიდი ამბიციები აქვს. ამაზე გუნდის წლევანდელი სატრანსფერო პოლიტიკაც მეტყველებს. ვლადივოსტოკელებმა უკვე გადაიბირეს 26 წლის ამერიკელი უკანახაზელი **ერნესტო ბრემერსონი**. მას თავის დროზე, უთამაშია ნბა-ს კლუბებში - "ბოსტონში", "კლივლენდსა" და "გოლდენ სტეიტში". ბოლო წლებში კი ევროპაში ბურთაობს. ესპანური "უნიკახას", იტალიური "ბიელას" და ბერძნული პაოკ-ის შემდეგ, უკანასკნელი სეზონი მან ბოსნიის "ბოსნაში" გაატარა.

ამას გარდა, ვლადივოსტოკელებმა დაიმატეს **დამირ მალკოვიჩი** ("პანიონიოსი", საბერძნეთი), **ვადიმ პანინი** ("უნიქსი") და **ანატოლი სერგეინკო** ("სიბირტელეკომი"). ერთი წლით გაუგრძელეს კონტრაქტი ცენტრფორვარდ **რომან ლევტერსაც.**

კობა ხატისაშვილი

ხელბურთი

ქართულ ხელბურთში რიგგარეშე არჩევნებია

პრეზიდენტი მამუკა სხიერელი გადადგა



საქართველოს ხელბურთის ასოციაციას გუშინ საკმაოდ რთული დღე ჰქონდა. ასოციაციას ესტუმრა მისი პრეზიდენტი **მამუკა სხიერელი,** ოღონდ ეს არ იყო ჩვეულებრივი, ყოველდღიური ვიზიტი. სხიერელმა თავის აწ უკვე ყოფილ ხელქვეითებს, თანამდებობიდან გადადგომის განცხადებით მიმართა.

პრეზიდენტის განცხადება საკმაოდ მოულოდნელი იყო, მაგრამ რაკიღა სხიერელმა ასეთი არჩევანი გააკეთა, პრეზიდიუმმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა. როგორც გუშინ, ხელბურთის ასოციაციიდან გვაცნობეს, რიგგარეშე ყრილობა გაიმართება 12 სექტემბერს, 14 საათზე, სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზში.

რაკიღა მამუკა სხიერელს უფლებამოსილების ვადა 2008 წლამდე ჰქონდა, 12 სექტემბერს მის შემცვლელს ერთი წლით აირჩევენ. 2008 წლის ბოლოს კი, მორიგი არჩევნები ჩატარდება, სადაც საქართველოს ხელბურთის ასოციაციის პრეზიდენტი, ოთხწლიანი ვადით აირჩევა.

რიგგარეშე ყრილობამდე, სხიერელის თანამდებობას შეითავსებს ხელბურთის ასოციაციის სამი ვიცე-პრეზიდენტიდან (**თამაზ თევზაძე, მერაბ მეტრეველი, ჯემალ ცერცვაძე**) ერთ-ერთი.

ხელბურთის ასოციაციის პრეზიდენტობის მსურველებს, პრეზიდიუმის სახელზე განაცხადების შეტანა შეუძლიათ 12 აგვისტოს, 15 საათამდე.

გუშინვე, შევეცადეთ მამუკა სხიერელს დავკავშირებოდით და მისი გადადგომის მიზეზი გაგვეგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი მამუკა ჩვენს ზარს არ პასუხობდა.

კობა ხატისაშვილი



გურამ ფარულავა 70

ემსახურა და ემსახურება...

გურამ ფარულავა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც უმძიმესი ბავშვობა ჰქონდა. 1937 წელს თბილისში დაიბადა. ყმაწვილობაში თანატოლებთან ერთად, ფეხბურთს, უბანში, ოპერის წინ, პირდაპირ რუსთაველის გამზირზე ღამღამობით თამაშობდა. მერე, აღნაგობით და ღონით გამორჩეულმა ძალოსნობაში დაიწყო მეცადინეობა, თუმცა არც ფეხბურთი და ცურვა მიუტოვებია. ბოლოს ძალოსნობამ საბოლოოდ გაიტაცა და მთელი ცხოვრება მისი ერთგული დარჩა. დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი, გახდა მწვრთნელი. იმუშავა "განთიადის", "ზენიტის", "შევარდენის" უფროს მწვრთნელად. მდიდარი გამოცდილების სპეციალისტი ამჟამად თბილისის ყველა ასაკის ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია, ამასთან თბილისის ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარეცაა. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და "ღირსების მედლის" კავალერი.

გ. ფარულავას შეგირდები სხვადასხვა დროს წარმატებით გამოდიოდნენ როგორც საშინაო, ისე საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. აი ისინიც: ალეკო ნოზაძე, ზურაბ ნადირაშვილი, რობენ ტონოგანიანი, ავთანდილ ცერცვაძე, საიდ ალიევი, ვლადიმერ ჟორჟოლიანი, ძმები დიმიტრი და სლავა მიასნიკოვები, ილია კოტაშვილი, გელა ბაზაძე და სხვა. საერთო ჯამში, ათასამდე ახალგაზრდა უზიარებია ძალოსნობის საიდუმლოებისთვის. ამჟამად ვაკის განახლებულ დარბაზში 50-მდე ახალგაზრდას წვრთნის.

"ძალიან ნიჭიერი თაობა წამოვიდა, რაც იმედს მაძლევს, რომ კარიერის დასრულებამდე უთუოდ გამოვზრდი ათლეტს, რომელიც თავს გამოიჩენს ოლიმპიურ, მსოფლიოს ან ევროპის სარბიელზე", - ამბობს ღვაწლმოსილი მწვრთნელი. პერსპექტიულ ძალოსნებად ასახელებს გიორგი და ნიკა წიკლაურებს, რომა სარქისიანს, დავით ნოზაძეს, რეზო რამაზაშვილს, გიორგი თაქთაქიშვილს, ლევან მამისაშვილს, ლევან ხუზაურაშვილს... თავისი ოთხი შვილიშვილიც სპორტს აზიარა.

გ. ფარულავამ საკუთარ თავში კიდევ ერთი გატაცება აღმოაჩინა და მუზას დაუმეგობრდა. გამოცემული აქვს საკუთარი ლექსების ორი კრებული. ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარს თავისი ხალხი და ქვეყანა. ამიტომაც მის ლექსებში სწორედ ეს სიყვარული დომინირებს. "სიცოცხლის სიყვარულს და სიყვარულით სიცოცხლეს გაუმარჯოს" - ეს მისი ცხოვრების დევიზად ქცეული სიტყვებია. მთავარი არსი კი მისივე ლექსის სტრიქონებშია გაცხადებული:

"მინდა კაცურად გემსახურო ჩემო ქვეყანა,

რომ სამარეში არ დამზაფროს შენზე ფიქრებმა."

იროდი ბეჟაშვილი

აკაკი ტალახაძეს უკრაინელები იწვევენ

ზაფხულის სატრანსფერო სეზონი ჩვენი ხელბურთელებისთვის ფრიად წარმატებული აღმოჩნდა. ბუქარესტის "დინამოსთან" გაფორმა კონტრაქტი **ვლადიმერ რუსიამ,** გერმანულ "ლიუბეკში" გადავიდა **სერგო დათუკიშვილი,** ხოლო **რატი მსხვილიძე** საცაა ერაძის ისლანდიურ "ტიარნანთან" გააფორმებს კონტრაქტს.

გუშინ სტუ-"თელავის" მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი კეკელიძემ** კიდევ ერთი სავარაუდო ტრანსფერის შესახებ გვამცნო - სტუ-"თელავისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი **აკაკი ტალახაძე,** უკრაინაში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

- აკაკი ტალახაძეს უკრაინიდან აქვს მიწვევები. მას ვლადიმერ რუსიასა და მამია კობახიძის ყოფილი კლუბი, დონეცკის "შახტარ-აკადემია" ეპატიჟება. ამას გარდა, ტალახაძით "პოლტავაც" დაინტერესდა,თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. მოლაპარაკებებს ვწარმოებთ და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

- რატი მსხვილიძის ტრანსფერის საკითხი რა სტადიაშია?

- რატი ახლა ისლანდიაშია სინჯებზე. როგორც ვიცი, იგი "ტიარნანის" მწვრთნელებს მოეწონათ. 31 ივლისს, მსხვილიძე თბილისში დაბრუნდება, ისლანდიელები დაგვიკავშირდებიან და ყველაფერი ამის შემდეგ გადაწყდება.

კობა ხატისაშვილი



აკაკი ტალახაძე

ჭიდაობა

გიორგაძე ევროპის ჩემპიონია

უკრაინის დედაქალაქში გაიმართა ევროპის მეოთხე ჩემპიონატი ქამრიან ჭიდაობაში ვაჟთა შორის სამ და ქალთა ორ წონით კატეგორიაში.

საქართველოს ქამრიანი ჭიდაობის ფედერაციამ (პრეზიდენტი **აკაკი ბორცვაძე**) მხოლოდ ვაჟთა შორის 81, 100 და +100 კგ წონით კატეგორიებში გამოიყვანა სპორტსმენები.

დაძაბული გამოდგა მძიმეწონოსანთა ფინალური შერკინება. ქართველ **მირიან გიორგაძისა** და ბელარუს **ანდრეი სიკორსკის** ორთაბრძოლის დასრულებამდე 40 წამით ადრე ანგარიში იყო 5:5. სწორედ გადამწყვეტ მომენტში იყოჩაღა გიორგაძემ და "ოქროს მოგვერდით" მეტოქე ხალიჩაზე გააკრა...

პირველად ქამრიანი ჭიდაობის ისტორიაში (ათვლა დაიწყო 2001 წლიდან) ქართველი მოჭიდავე ევროპის ჩემპიონი გახდა. თანაც ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონით კატეგორიაში (+100 კგ). ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **მალხაზ ჯორბენაძემ** (100 კგ).

ტურნირს დაემთხვა კიევში ჩატარებული ევროპის პირველი სპორტული თამაშები 15 არაოლიმპიურ სახეობაში, მათ შორის ქამრიან ჭიდაობაში. გიორგაძემ და ჯორბენაძემ აქ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

მირიან გიორგაძემ კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ჭიდაობა სუმოში (115 კგ). თუმცა მას მეტიც შეეძლო, რომ არა უნებლიე შეცდომა.



მირიან გიორგაძე

პარალელურად გაიმართა უკრაინული (კაზაკური) ჭიდაობის ტურნირიც. სადაც ასევე წარმატებით იჭიდავეს ქართველმა ფალავნებმა. რასაც ვერ ვიტყვით, თვით უკრაინელებზე. ისინი ერთობ უხალისოდ მოეკიდნენ თავიანთ ხალხურ სპორტს და მხოლოდ ორიოდე იქაური მოჭიდავე გამოვიდა სარბიელზე.

საქართველოს ქამრიან მოჭიდავეთა ნაკრების გამგზავრება კიევში სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **დიმიტრი სანაკოევმა** უზრუნველყო. გუნდის შემადგენლობაში იყო ვეტერანი მოჭიდავე სამხრეთი ოსეთიდან **თეიმურაზ გაგიევი** (81 კგ), ქართულ ეროვნულ დროშასთან ერთად, მოჭიდავეებმა კიევში სამხრეთი ოსეთის დროშაც ჩაიტანეს. ამით ყველამ კიდევ ერთხელ შეიტყო, რომ სამხრეთი ოსეთი იყო და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

წლეულს, მაისში სტამბოლშიც ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ქამრიან ჭიდაობაში, სადაც ქართველმა მოჭდავეებმა ვერცხლის ერთი და ბრინჯაოს ოთხი მედალი (მათ შორის ერთმა ქალმა) მოიპოვეს.

გასული საუკუნის 70-80 წლებში სამბოს საერთაშორისო სამყაროშიც ორხელისუფლებიანობა იყო. სამწუხაროდ, ახლა ასეა ქამრიან ჭიდაობაშიც. იმედია, სამბისტების მსგავსად, ერთი ფედერაციის ეს ორი მიმართულება მალე გაერთიანდება.

კიევის თამაშები ისტორიის კუთვნილება გახდა. საზეიმო დახურვაზე ევროპის სპორტული კომიტეტის დროშა გადაეცა ლიტვის ქალაქ შაულიაის მერს. 2011 წელს სწორედ ამ ქალაქში გაიმართება ევროპის მეორე სპორტული თამაშები არაოლიმპიურ სპორტის სახეობებში.

გაბრიელ ბარჯაძე
კიევი-თბილისი

ნამალაშვილის ტრადიციული

თიანეთის რაიონის სოფელ მელიასხევში მესამედ ჩატარდა სახელოვანი ფალავნის, საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორის **თემურ ნამალაშვილის** სახელობის ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა მცხეთის, თბილისის, გორის, ახალგორის, ცაგერისა და თიანეთის 60-ზე მეტი სპორტსმენი.

სარბიელი, ქართული ჭიდაობის ტრადიციის თანახმად, ჯერ ჭაბუკ სპორტსმენებს დაეთმოთ. აქ წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები არიან **თენგიზ ჩიტაური, ვასიკო ჯაბანაშვილი, ლევან ბერბერაშვილი, სოსო იარაჯული, გიორგი გამიაშვილი, ბექა ფიცხელაური** (ყველა თიანათი) და **თემურ ახვლედიანი** (ცაგერი). ამ უკანასკნელს საუკეთესო ტექნიკური ჭიდაობისთვის სპეციალური მედალი გადასცა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სამბოში, თიანეთის მკვიდრმა თენგიზ არაბულმა.

მოზრდილთა შორის უძლიერესები გახდნენ გორელი მოჭიდავეები: **ჯაბა ჯალაბაძე** (60 კგ), **აზორ ხმიადაშვილი** (65 კგ), **პაატა დათაშვილი** (70 კგ), **სპარტაკ მინაძე** (75 კგ) და **პაატა ღვინიაშვილი** (80 კგ).

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ფულადი ჯილდოები გადასცეს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა **გივი ონაშვილმა,** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პრიზიორებმა **როინ ოდიშელიძემ, გაიოზ ყაყიჩაშვილმა** და ცნობილმა მოჭიდავემ **გივი ფურცელაძემ.**

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა გორელმა **დავით ჭაბუკაშვილმა**. იგი დაჯილდოვდა ტრაგიკულად დალუპული **ბექა ხარხელაურის** ხსოვნის პრიზით - ყოჩით, რომელიც გამარჯვებულს გადასცა ბექას მამამ - ცნობილმა პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა. დასასვენებელი კომპლექსის, შპს "ცხვარიჭამიის" წარმომადგენელმა კი უფასო დასვენების საგზური უსახსოვრა.

ტურნირს ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გოდერძი ბიწკინაშვილი,** სპორტის ადგილობრივი ხელმძღვანელები, ცნობილი მოჭიდავეები.

მაყურებელმა იხილა ლამაზი სპორტული ზეიმი, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორია წარსულში ცნობილი მოჭიდავე თემურ ნამალაშვილი. მან თავისი ხარჯებით სოფლის ახალგაზრდობას აჩუქა მშვენივრად მოწყობილი საჭიდაო არენა, გამარჯვებულები და პრიზიორები ფულადი პრემიებით დაჯილდოვა.

იური იმერლიშვილი

ტურნირების მიმოხილვა

ჩაკვეტაძე ამერიკას იპყრობს

რუსეთის სახელით მოასპარეზე **ანა ჩაკვეტაძის** გამარჯვებით (6:3, 6:2) დასრულდა სტენფორდის კლასიკური, რომლის ფინალშიც მან ორ სეტში აჯობა ინდოელ **სანია მირზას**. ამგვარად, ჩაკვეტაძემ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ამერიკის მიწაზე ზედიზედ ორი ტურნირი მოიგო და მათზე ათი შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

"არ ველოდი, რომ ფინალის მოგებას ორ სეტში შევძლებდი, რადგან დაღლილობას ვგრძნობდი, ამის გამო კი ისე კარგად ვერ ვთამაშობდი, როგორც ტურნირის დასაწყისში. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამსეტიან შეხვედრაში პრობლემები შემექმნებოდა. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ თამაშის ორ სეტში მოგება მეცადა. სანია წალმა ბრწყინვალედ ურტყამს, მაგრამ ამჯერად, ჩემი აგრესიულობის წყალობით, ეს კოზირი ვერ გამოიყენა. ვცდილობდი, ბურთი კორტის ერთი კუთხიდან მეორეში დამერტყა, რათა მისთვის სულის მოთქმის საშუალება არ მიმეცა. თანაც, ყოველ გათამაშებაზე მაქსიმალურად მობილიზებული ვიყავი", - ნამატჩევს განაცხადა ოცი წლის ჩაკვეტაძემ, ვინც სტენფორდის ტურნირის მოგებისთვის 88 265 დოლარი დაიმსახურა.

მირზასთან მოპოვებული გამარჯვებით, ჩაკვეტაძე რეიტინგში მეექვსე ადგილამდე დაწინაურდა. სხვათა შორის, ჩაკვეტაძისთვის ეს ვტა-ს ტურის მეექვსე ფინალი იყო და მეექვსედაც მან კორტი მოგებულმა დატოვა. ამასთან, მაისის შემდეგ მას ოცი მოგება და მხოლოდ ორი წაგება დაუგროვდა. ეს ორი წაგებაც დიდი სლემის ორ ტურნირზე - საფრანგეთის ღიასა და უიმბლდონზე მოდის.

საინტერესოა ისიც, რომ ჩაკვეტაძე და მირზა ერთმანეთს წინა ტურნირზე, ცინცინატიშიც, ოღონდ წყვილებში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინაც გამარჯვება ჩაკვეტაძემ მოიპოვა.

ის ამბობს, რომ ბოლო ხანებში უკეთ აკონტროლებს საკუთარ ემოციებს, რაც კრიტიკულ მომენტებში მობილიზებაში ეხმარება. ის დარწმუნებულია, რომ ამ ახალი თვისების წყალობით, აშშ-ის ღიაზეც კარგად გამოსვლის იმედი აქვს. დიდი სლემის ტურნირებს შორის აშშ-ის ღია ყველაზე მეტად მომწონს და ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, მასზე პირველობისთვის ბრძოლასაც შევძლებო, - ამბობს ანა.

ფინალის დროს ჩაკვეტაძეს კურიოზი შეემთხვა - გრძელი ნაწლავი ჩოგანში აეხლართა, რის გამოც ბურთი გაექცა. თამაშის შემდეგ ჰკითხეს, ამ ინციდენტის შემდეგ, თმას ხომ არ დაიმოკლებო, რაზეც მიუგო: უფრო გრძელი ნაწნავიც მქონია, მაგრამ ხელი არასოდეს შეუშლია. ეს შემთხვევა გამონაკლისი იყო და მის გამო, თმა რატომ უნდა შევიჭრაო.

გადატვირთული ამერიკული სეზონის მიუხედავად, ჩაკვეტაძე დასვენებას არ აპირებს. სტენფორდში გამარჯვებისთანავე, ის სან დიეგოში გაემგზავრა და დღეიდან იქაურ ტურნირში ჩაერთვება. გამარჯვების აღსანიშნავად ზეიმს დიდხანს არ ვაპირებ. ჩემი მიზანი ფლეშინგ მედოუსთვის რაც შეიძლება კარგად მომზადებაა და ამას ყველაზე უკეთ ტურნირებზე გამოსვლით შევძლებო, - ამბობს სტენფორდის ტურნირის ჩემპიონი.

პარალელურად, ხორვატიის ღია პირველობი ფინალში, ესპანელმა **კარლოს მოიამ** 6:4, 6:2 მოუგო რუმინელ **ანდრეი პაველს** და აღნიშნული ტურნირის ჩემპიონი მეხუთედ გახდა. ამასთან, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნისთვის, ეს კარიერაში მოპოვებული მეოცე ტიტულია, რითაც მან ახლად გამოქვეყნებულ რეიტინგში მეოცე ადგილზე გადაინაცვლა. ცნობისთვის, მოიას უმაგის ტურნირი ბოლოს ოთხი წლის წინათ ჰქონდა მოგებული.

30 წლის ესპანელმა პირველი სეტის მეცხრე გეიმში შეძლო ბრეიკის აღება, თუმცა მომდევნო გეიმში დიდი ბრძოლის გადახდა მოუხდა, რათა მოპოვებული უპირატესობა სეტის გამარჯვებამდე მიეყვანა. კერძოდ, მან ოთხჯერ მოიგერია ბრეიკ პოინტი, სეტ პოინტი კი რვაჯერ ჰქონდა. მეორე სეტი უფრო ცალმხრივი გამოდგა. მოიამ ორჯერ შეძლო მეტოქის სერვის-გეიმის მოგება, პაველს კი მსგავსი შანსი აღარ ჰქონია.



ანა ჩაკვეტაძე

"ტურნირზე რამდენიმე ძალიან ძლიერი ჩოგბურთელი თამაშობდა და მე არ მეგონა, თუ მის მოგებას შევძლებდი. მაგრამ მე ეს შევძელი და ამით ბედნიერი ვარ", - ნამტჩევს განაცხადა მოიამ.

კიცბუელში კი, ავსტრიის ღია პირველობის ფინალში, არგენტინელმა **ხუან მონაკომ** სამ სეტში, 5:7, 6:3, 6:4 მოუგო იტალიელ **პოტიტო სტარაჩეს** და კარიერაში ატპ-ს მესამე ტიტული (ყველა მიმდინარე სეზონში და ყველა თიხისსაფარიან კორტებზე) მოიპოვა.

პირველი სეტი სტარაჩემ მოიგო და ის კარგა ხანს მეორეშიც თანაბრად ეთამაშებოდა მეტოქეს. მაგრამ მონაკომ მეორე სეტის მეცხრე გეიმში შეძლო იტალიელის სერვისის აღება და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. გადამწყვეტი სეტიც კარგა ხანს თანაბრად მიმდინარეობდა. მეტოქეებმა თითო ბრეიკი გაცვალეს და თითქოს, საქმე ტაიბრეიკამდე უნდა მისულიყო, მაგრამ მონაკომ კიდევ ერთხელ შეძლო მეტოქის სერვისის აღება და შეხვედრაც გამარჯვებით დაასრულა.

"ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ამ სეზონში სამი ტურნირის მოგებას შევძლებდი. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ვარჯიშის დროს თავს არ ვზოგავდი, რამაც კარგი სამსახური გამიწია. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე, თიხნარზე უკეთ ვთამაშობ, მაგრამ ვეცდები, ამავე სეზონის მიწურულს, ჭერქვეშა, სწრაფ კორტებზეც გამოვიჩინო თავი", - განაცხადა მონაკომ, ვინც კარიერაში პირველი ტიტული შინ, ბუენოს აირესში მოიპოვა.

ინდიანაპოლისში კი, იქაური ჩემპიონატი რუსი **დმიტრი ტურსუნოვის** გამარჯვებით დასრულდა, ტურსუნოვმა ფინალში 6:4, 7:5 მოუგო კანადელ **ფრენკ დანჩევიჩს** და კარიერაში ატპ-ს მეორე ტიტულს დაეუფლა.

ინდიანაპოლისამდე ტურსუნოვს მხოლოდ ორ ფინალში (ორივე შარშან) ეთამაშა, რომელთაგან ერთი (მუმბაიში, ინდოეთი) მოგებული ჰქონდა, მეორე კი (ლოს ანჯელესი) წააგო. რაც შეეხება დანჩევიჩს, მისთვის ეს პირველი გამოსვლა იყო ატპ-ს ტურნირის ფინალში, რომლამდეც მეოთხედფინალშიც კი არ ეთამაშა.

მერაბ ლორთქიფანიძე

რეიტინგები

ATP-ის რეიტინგი

1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	7290
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	5455
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3200
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	3175
5(5). ენდი როდიკი (აშშ)	3165
6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	2695
7(7). ტომი როგრედო (ესპ)	2085
8(8). რიშარ გასკე (საფ)	2085
9(10). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1995
10(11). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	1975
11(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	1940
12(9). ტომი ჰაასი (გერ)	1885
13(14). ენდი მარეი (გრიტ)	1865
14(13). მიხაილ იუჟნი (რუს)	1840
15(15). გილერმო კანიასი (არგ)	1675
16(16). დავიდ ფერერი (ესპ)	1535
17(17). ხუან კარლოს ფერერო (ესპ)	1525
18(20). კარლოს მოია (ესპ)	1395
19(19). მარკოს ბაღდატისი (კვი)	1370
20(18). ხუან იგნასიო ჩილა (არგ)	1270

ATP-ის საჩემპიონო რგოლა

1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	936
2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც)	801
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	561
4(4). ენდი როდიკი (აშშ)	344
5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	325
6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	293
7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	280
8(8). დავიდ ფერერი (ესპ)	260
9(8). რიშარ გასკე (საფ)	257
10(12). გილერმო კანიასი (არგ)	256
11(10). მიხაილ იუჟნი (რუს)	252
12(12). ტომი როგრედო (ესპ)	248
13(11). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	244
14(14). ტომი ჰაასი (გერ)	240
15(19). კარლოს მოია (ესპ)	239
16(15). მარკოს ბაღდატისი (კვი)	227
17(16). ხუან კარლოს ფერერო (ესპ)	221
18(17). ხუან კარლოს ფერერო (ესპ)	220
19(18). ენდი მარეი (გრიტ)	214
20(23). ხუან მონაკო (არგ)	206

ფულადი მონაგარი

1. რაფაელ ნადალი (ესპ)	4 153 685
2. როჯერ ფედერერი (შვეიც)	4 059 820
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	1 932 300
4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	985 180
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	942 125
6. ენდი როდიკი (აშშ)	895 620
7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	878 470
8. მიხაილ იუჟნი (რუს)	823 125
9. ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	794 595
10. რიშარ გასკე (საფ)	756 890
11. გილერმო კანიასი (არგ)	747 165
12. ხუან იგნასიო ჩილა (არგ)	695 645
13. ტომი ჰაასი (გერ)	690 035
14. დავიდ ფერერი (ესპ)	651 302
15. ტომი როგრედო (ესპ)	647 647
16. ჯოშ გრაიანი (აშშ)	642 785
17. მაიკ გრაიანი (აშშ)	638 960
18. მარკოს ბაღდატისი (კვიპ)	631 155
19. კარლოს მოია (ესპ)	620 880
20. ხუან-კარლოს ფერერო (ესპ)	565 085

WTA-ს რეიტინგი

1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (გელ)	4457
2(2). მარია შარაპოვა (რუს)	3678
3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3241
4(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2978
5(5). ანა ივანოვიჩი (სერ)	2898
6(7). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2541
7(6). ამელი მორესმო (საფ)	2424
8(8). სერენა უილიამსი (აშშ)	2325
9(9). ნადია პეტროვა (რუს)	2002
10(12). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1957
11(10). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1885
12(11). მარიონ ბარტოლი (საფ)	1875
13(13). მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1845
14(14). დინარა საფინა (რუს)	1742
15(15). ელენა დემენტიევა (რუს)	1699
16(16). ვენუს უილიამსი (აშშ)	1655
17(17). პატი შნიდერი (შვეიც)	1584
18(18). შაარ პეერი (ისრ)	1539
19(19). ტატიანა გოლოვინი (საფ)	1357
20(20). ნა ლი (ჩინ)	1159

WTA-ს საჩემპიონო რგოლა

1. ჟუსტინ ანენი (გელ)	3245
2. ელენა იანკოვიჩი (სერ)	2990
3. ანა ივანოვიჩი (სერ)	2431
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2161
5. სერენა უილიამსი (აშშ)	2141
6. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	1910
7. მარია შარაპოვა (რუს)	1785
8. ვენუს უილიამსი (აშშ)	1630
9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1588
10. მარიონ ბარტოლი (საფ)	1421
10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1421
12. ამელი მორესმო (საფ)	1406
13. დინარა საფინა (რუს)	1336
14. ნადია პეტროვა (რუს)	1288
15. შაარ პეერი (ისრ)	1257
16. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1186
17. პატი შნიდერი (შვეიც)	1084
18. სიბილ ბამერი (ავსტრია)	1065
19. ელენა დემენტიევა (რუს)	966
20. ტატიანა გოლოვინი (საფ)	960

ფულადი მონაგარი

1. ჟუსტინ ანენი (გელ)	2 534 430
2. სერენა უილიამსი (აშშ)	1 799 034
3. ვენუს უილიამსი (აშშ)	1 481 448
4. ანა ივანოვიჩი (სერ)	1 381 270
5. ელენა იანკოვიჩი (სერ)	1 307 255
6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	1 051 574
7. მარია შარაპოვა (რუს)	1 001 652
8. მარიონ ბარტოლი (საფ)	911 311
9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	792 805
10. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	728 347
11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	726 232
12. მარა სანტანგელო (იტა)	599 591
13. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ)	573 156
14. კარა ბლეკი (ზიმ)	563 464
15. შაარ პეერი (ისრ)	562 875
16. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	546 236
17. ამელი მორესმო (საფ)	539 284
18. სამანთა სტოსური (ავსტრა)	530 366
19. კატ. სრეიბოტნიკი (სლოვენ)	527 374
20. ნადია პეტროვა (რუს)	492 906

31 ივლისი. სამშაბათი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
14:10 ამხანაგური მატჩი. ზალცბურგი-არსენალი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი 1/4 ფინალი. რეალი-მონაკო. I მატჩი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. შეფილდი-ვიგანი.
22:05 საფეხბურთო კლუბი.
22:35 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სევილია.

SPORT 1 (უკრაინა)

07:25 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. დეტროიტი-სან ხოსე.
09:00 სპორტკლუბი.
09:55 მინი-მოედანი.
10:25 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. რომა-კატანია.
12:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია. პირველობა. 1/2 ფინალი. უმაგი. ხორვატია.
14:40 აფროსნობა. ამერიკის თასი.
15:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია. პირველობა. 1/2 ფინალი. უმაგი. ხორვატია.
17:15 სპორტის სამყარო.
17:40 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-დორტმუნდი.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:45 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. ბაფალო-რეინჯერსი.
21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:40 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
22:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:50 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰართსი-ბარსელონა.
00:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. რომა-კატანია.
02:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია. პირველობა. 1/2 ფინალი. უმაგი. ხორვატია.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:30 ავტოსპორტი. ჩემპიონის სერია. სან ხოსე. აშშ.
12:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). მამაკაცები. ფინალი. საბერძნეთი-ესპანეთი. ისლანდია.
13:30 ფეხბურთი. ინტერტოტოს თასი. ფინალი. ლანსი-ჩერნომორეცი. საპასუხო მატჩი.
15:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი. დანია.
16:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი. ბრიტანეთი.
17:00 სნუკერი.
19:00 მულტისპორტი.
19:30 ფეხბურთი. ინტერტოტოს თასი. ფინალი. ჰამბურგი-დაჩა. საპასუხო მატჩი.
20:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი. პოლონეთი.
22:30 პროფესიული კრივი. WBA/WBO. მჩატე წონა. ა. ფრეიტასი (ბრაზილია)-ხ. დიასი (მექსიკა). ფოკსვუდი. აშშ.
23:00 პროფესიული კრივი. იტალია (LIVE).
01:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
01:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი. ბრიტანეთი.
02:30 ფეხბურთი. ინტერტოტოს თასი. ფინალი. ლანსი-ჩერნომორეცი. საპასუხო მატჩი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. შვეიცარია.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. ფინალი. ისლანდია.
17:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). მამაკაცები. ფინალი. საბერძნეთი-ესპანეთი. ისლანდია.
18:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სან ხოსე. აშშ.
23:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. ანდერსტორპი. შვედეთი.
23:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ანდერსტორპი. შვედეთი.
00:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). კონფერენციის ჩემპიონატი. არენა ბოული. სან ხოსე-კოლამბუსი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ალგარჩეი-ბრანდერი	0:1
კორკი-სანდერლენდი	1:1
ნოგსი-ნოტინგემი	1:2
ოქსფორდი-ლუტონი	1:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

ნანტი-რეიმსი	5:0

დანია

ესბერგი-ორაუსი	2:2

ნორვეგია

ლინი-ფრედრიქსტადი	0:0

შვედეთი

ჰალმსტადი-გაის	2:2
კალმარი-გეფლე	0:1

II დივიზიონი

ფალკენბერგი-ენჩოპინგი	2:0
ლანდსკრონა-ჰალმიეე	2:4
ნორჩოპინგი-ლიუნგსკილე	2:0
იორგრიტე-იონჩოპინგი	0:0
სირიუსი-ფეგერფორსი	3:2
სუნდსვალი-აგვიდაბერგი	2:0

უნგრეთი

რეკა-ვაასა	2:0
ფეიერვარი-ქაპოშვარი	1:1

ჩოგბურთი

ATP. სოფოტი

ბრეეიჩი-მ. გონსალესი	6:4, 4:6, 1:6
გაუდიო-დარცისი	2:6, 0:6
პატიენსი-შჩუკინი	7:6, 3:6, 7:6
პაშანსკი-კუევასი	6:3, 6:1
მონტანიესი-ჰარტფილდი	6:1, 6:3
აკასუსო-ეშაუერი	6:2, 6:3
ვოლანდრი-პრეისიეუნი	4:6, 6:2, 5:7
ალმაგრო-საბალეტა	3:6, 5:7
ანდრეევი-ლაპენტი	შეწყდა

WTA. სან დიეგო

კინგი-მუჰამედი	7:6, 6:0
ბოვინა-ვანდეეგე	6:3, 7:5
ა. ბონდარენკო-პენგი	3:6, 6:3, 6:4
კერბერი-აუგუსტინი	6:0, 6:1
ნაკამურა-სეკერა	7:5, 6:0

WTA. სტოკჰოლმი

დომაჩოვსკა-ლუჟანკა	6:3, 6:2
სტანჩიუტე-ლაპუშჩენკოვა	7:6, 2:6, 7:5
ლუა-პეტკოვიჩი	6:4, 6:2
რადვანსკა-მალეკი	6:2, 6:1
ფედოსოვა-ჰაკი	7:5, 6:4
ზაკოპალოვა-იოჰანსონი	5:7, 6:2, 6:3
დუშევინა-ნოონი	6:2, 4:6, 6:1
დეში-პირონკოვა	6:7, 3:6

ჰოკეი

მონრეალმა შემადგენლობა დააკომპლექტა

"მონრეალ კანადიენსმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **მაიკლ რაიდერთან**, რითაც თავიდან აიცილა საარბიტრაჟო პროცესი, რადგან ახლა, მომავალი სეზონისთვის ამ კლუბს ყველა ჰოკეისტთან აქვს ხელშეკრულება დადებული.

რაიდერის ახალი კონტრაქტის ღირებულება 2.95 მილიონი დოლარია. შედარებისთვის, ამ ჰოკეისტმა შარშან 2.2 მილიონი მიიღო.

27 წლის რაიდერმა 2006-07 წლების რეგულარულ ჩემპიონატში 82 მატჩი ჩაატარა და "მონრეალის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მის ანგარიშზე 30 გოლი და 28 შედეგიანი პასი იყო.

ლოპინგი

სუფთა თამაშები

გასულ უიკ ენდზე ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში მე-15 პანამერიკული თამაშები დასრულდა. ამ სპორტულ ფორუმს ისტორიაში ყველაზე "სუფთა" ტურნირი ეწოდა: არცერთ დოპინგ-ანალიზს დადებითი შედეგი არ უჩვენებია.

პანამერიკულ თამაშებში 42 ქვეყნის 5 500-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ჩატარდა 1400 დოპინგ-ტესტი და ყველას შედეგი უარყოფითი იყო.

სხვათა შორის, 2003 წლის პანამერიკულ თამაშებზე 12 სპორტსმენი გამოიჭირეს აკრძალული პრეპარატის მიღებაში.

ფორმულა 1

კალენდარი ცნობილია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ფორმულა 1-ის 2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი გამოაქვეყნა. მომავალი სეზონის განრიგმა ასეთი სახე მიიღო:

16 მარტი - ავსტრალია; **23 მარტი** - მალაიზია; **6 აპრილი** - ბაჰრეინი; **27 აპრილი** - ესპანეთი; **11 მაისი** - თურქეთი; **25 მაისი** - მონაკო; **8 ივნისი** - კანადა; **22 ივნისი** - საფრანგეთი; **6 ივლისი** - დიდი ბრიტანეთი; **20 ივლისი** - გერმანია; **3 აგვისტო** - უნგრეთი; **24 აგვისტო** - ვალენსია (ევროპის გრან-პრი); **7 სექტემბერი** - იტალია; **14 სექტემბერი** - ბელგია; **28 სექტემბერი** - სინგაპური; **12 ოქტომბერი** - ჩინეთი; **19 ოქტომბერი** - იაპონია; **2 ნოემბერი** - ბრაზილია.

ზაუბერმა ჰაიდფელდს ახალი კონტრაქტი შესთავაზა

ფორმულა 1-ის გუნდი "BMW-ზაუბერი" თავის ერთ-ერთ საპრიზო პილოტთან, **ნიკ ჰაიდფელდთან** კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებებს ანარმოებს.

გერმანელ ავტომრბოლს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, თუმცა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება პუნქტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება კონტრაქტის კიდევ ორი წლით გახანგრძლივება.

ჰაიდფელდის ხელფასი 6 მილიონი ევრო იქნება, გარდა ამისა, 2008 წელს გერმანელი თითო ქულისთვის 20 ათასს, ხოლო ეტაპის მოგების შემთხვევაში, 200 ათას ევროს მიიღებს.

კალათბურთი

რომაელების ორი ახალი ამერიკელი

რომის "ლოტომატიკამ" მომავალი სეზონისთვის მნიშვნელოვნად გააძლიერა შემადგენლობა. იტალიურმა კლუბმა ორი ამერიკელი კალათბურთელი დაიმატა. მათგან ერთ-ერთი შარშან, NBA-ში თამაშობდა.

საუბარია "ბოსტონ სელტიქსის" მცველ **ალან რეიზე**, რომელმაც რომაულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი წლიური ხელფასი 2 მილიონი დოლარი იქნება. სწორედ ეს თანახა გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ასოციაციის შარშანდელმა დებიუტანტმა, NBA-ს ევროპაში კარიერის გაგრძელება ამჯობინა. ახალ სეზონში, რეი "ბოსტონში" მხოლოდ 687 456 დოლარს მიიღებდა.

შარშანდელ რეგულარულში ბოსტონელი მოედანზე საშუალოდ 15 წუთს ატარებდა და 6.2 ქულას აგროვებდა.

"ლოტომატიკას" მეორე ახალწვეული გახდა **ერიკ დენიელსი**, რომელიც შარშან "ბიელაში" თამაშობდა. გასულ სეზონში, დენიელსს სერია A-ში მეორე მაჩვენებელი ჰქონდა მოხსნების რაოდენობით (10.1) და აგრეთვე საშუალოდ 16.1 ქულას აგროვებდა ერთ მატჩში.

ბულზმა დრაფტზე აყვანილები გაიფორმა

"ჩიკაგო ბულზმა" დრაფტზე აყვანილ ორ ფორვარდთან გააფორმა კონტრაქტი. ესენი არიან **ჟოაკიმ ნოა** (დრაფტის მე-9 ნომერი) და **აარონ გრეი** (49-ე ნომერი).

ცნობილი გახდა აგრეთვე, თუ რა ნომრებით ითამაშებენ ეს კალათბურთელები დამდეგ რეგულარულში. გრეიმ 34-ე ნომერი აირჩია, ხოლო ლეგენდარული ფრანგი ჩოგბურთელის, **იანიკ ნოას** ვაჟმა მე-13 ნომრით ამჯობინა თამაში.

იგუოდალა ამერიკის ნაკრებშია

ამერიკის ნაკრების რიგებში მატებაა. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კრაჟეევსკიმ** შემადგენლობაში მიიწვია "ფილადელფია სიქსერზის" მცველი **ანდრე იგუოდალა**, რომელსაც მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზეც შეუძლია თამაში. ეს ინფორმაცია გაზეთმა Philadelphia Inquirer-მა გაავრცელა.

როგორც იცით, ამერიკელები კონტინენტის პირველობისთვის ემზადებიან. დალასში გასამართი ტურნირი პეკინის ოლიმპიური თამაშების კვალიფიკაციურ ეტაპად განიხილება.

დრობნიაკი ხირონაში გადავიდა

ესპანეთის ლიგაში მოთამაშე "ხირონამ", 1+1 სისტემით გააფორმა კონტრაქტი ცნობილ სერბ ცენტრალურ თავდამსხმელთან, **პრედრაგ დრობნიაკთან**.

შარშან, ეს კალათბურთელი ბელგრადის "პარტიზანის" უდავო ლიდერი იყო. ULEB-ის ევროლიგის გათამაშებაში, დრობნიაკი საშუალოდ მატჩში 15.1 ქულასა და 6.5 მოხსნას აგროვებდა.

პარკერმა ფეხი დაიზიანა

"სან ანტონიო სპურსისა" და საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა** შვეიცარიასთან ამხანაგური მატჩი გამოტოვა. გარდა ამისა, ფრანგი გამთამაშებელი 4 აგვისტოს, ბელგიასთან დანიშნულ საწვრთნელ თამაშშიც ვერ გავა მოედანზე.

პარკერს მარჯვენა ფეხი აწუხებს და საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ ტონის დასვენების საშუალება მისცა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ ფრანგებს გარისკვა არ სურთ. მათ კარგად ახსოვთ შარშანდელი სეზონი, როცა ტრავმის გამო პარკერმა მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვა.

"სპურსის" გამთამაშებელი მკურნალობის კურსს ნაკრების ბაზაზე გაივლის.



სტივ ნეში (მარჯვნივ) თანაგუნდელ რაჯა ბელთან ერთად

ინტერვიუ სტინ ნეშთან

შანსი კიდევ გვექნება

სამი დღის წინათ, სტივ ნეშმა მონრეალში საქველმოქმედო აქცია მოაწყო და როგორც თავად ამბობს, იმედი ჰქონდა, რომ დარბაზში სადღაც, 500-მდე გულშემატკივარი მივიდოდა. ხუთასი? კანადელი ვარსკვლავისა და მისი მეგობრების მიერ ორგანიზებული მატჩის სანახავად, 5 ათასზე მეტი ადამიანი მივიდა და დიდად ისიამოვნა კიდეც. ნეშის გარდა, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს შონ მერიონმა და "ფინიქსის" კიდევ ერთმა წევრმა, ახალწვეულმა ვეტერანმა გრანტ ჰილმა. ნეშს კი ESPN-ის ჟურნალისტები გაესაუბრნენ და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ.

- სტივ, "სან ანტონიოსთან" სერია ისტორიის კუთვნილებაა, თუმცა თქვენ ჯერ კიდევ ორი დღის წინ ამბობდით - ვერასოდეს დაივიწყებდით იმ იმედგაცრუებას, რომელიც მომავალ ჩემპიონებთან მარცხმა გამოიწვიაო. ახლა როგორ გრძნობთ თავს?

- ის სერია წასაგები არ იყო, თუმცა რაც მოხდა, უკვე ისტორიას ჩაბარდა და ვეღარაფერს შევცვლით. როგორც გამოჩნდა, "სპურსს" ყველაზე მეტად ჩვენთან სერიაში გაუჭირდა და თუ სწორად ვითამაშებთ, ბევრს ვიშრომებთ და გუნდი პანიკაში არ ჩავარდება, მაშინ შემდეგ რეგულარულსა და ფლეიოფში უფრო სახიფათონი ვიქნებით.

- ბოლო სამი წლის განმავლობაში, "ფინიქსის" საფლეიოფო წარუმატებლობას ყოველთვის რაღაც საინტერესო მოსდევს. ამჯერად ტიმ დონაჰიუს სკანდალი მაქვს მხედველობაში. ეს ის მსაჯია, რომელმაც თქვენი და "სპურსის" მესამე შეხვედრა იმსაჯა. როგორ გგონიათ, რამდენად სერიოზულია ეს სკანდალი და შეეძლო თუ არა დონაჰიუს, გავლენა მოეხდინა იმ მატჩის შედეგზე?

- არ ვიცი, მაქვს თუ არა მომხდართან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების უფლება. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არა მგონია, "ფინიქსისა" და "სპურსის" სერიის საბოლოო შედეგი რაღაც ამდაგვარმა განაპირობა. ჩვენი ლიგა ამაზე მაღლა დგას და ეს ყოველთვის ასე იქნება. იმედი მაქვს, მომხდარი დიდ გაგრძელებას არ ჰპოვებს.

- "ფინიქსის" საფლეიოფო წარუმატებლობაზე რას იტყვით?

- ყოველთვის არსებობს ჰთა, რომლის მწვერვალზე ასვლაც ურთულესი საქმეა. როგორც ჩანს, ჩვენ ამ მთაზე ასასვლელად მზად არ ვიყავით. ამავე დროს, პირადად მე, ასაკის მატებასთან ერთად თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებ და დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში კიდევ უფრო მეტი პროდუქტიულობით შევეშველები ჩემს გუნდს.

- რამდენად მნიშვნელოვანია გრანტ ჰილის დამატება?

- დავიწყოთ იმით, რომ როდესაც ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი ამ დონის მოთამაშეს ვეტერანის მინიმალური ხელფასით იმატებს, ეს უკვე დიდი წარმატებაა. ცხადია, გრანტი დიდი ვარსკვლავია, რომელსაც 14-15 ქულის დაგროვება ახლაც თავისუფლად შეუძლია. იმედი მაქვს, ჰილი სწორედ ის ნაწილია, რომელიც ჩემპიონობისთვის გვაკლდა.

- ამავე დროს დაკარგეთ კურტ ტომასი, რომელიც "სანზის" ყველაზე ძლიერი ინდივიდუალური დამცველი იყო.

- კი, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ ორი ტრანსფერის შედარებისას, საბოლოო ჯამში, "სანზი" შარშანდელზე უკეთესი გუნდი იქნება. მაღლების პრობლემა ისედაც არ გვქონია და ყველაფერი კარგად უნდა იყოს.

- რამდენად მიმზიდველად ჟღერს ის, რომ "ფინიქსში" შესაძლოა კევინ გარნეტი გადავიდეს?

- თქვენ როგორ გგონიათ? გარნეტი ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშეში შედის, მას პიროვნულადაც უდიდეს პატივს ვცემ და ცხადია, მის გვერდით გამოსვლა ჩემთვის უდიდესი პატივი იქნებოდა. ამავე დროს, მე მიყვარს ჩემი გუნდი და ის მოთამაშეები, რომლებიც ბოლო წლებში "სანზისთვის" ოფლს ღვრიდნენ. ასე რომ, კევინის ტრანსფერზე ზედმეტად არ მიფიქრია.

- თქვენ და გარნეტი ხომ მეგობრები ხართ...

- მეგობრები ცოტათი გადაჭარბებული ნათქვამია. კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, თუმცა ეს ურთიერთობა მხოლოდ "ყველა ვარსკვლავის" უიქენდებით შემოიფარგლება, ისე კი, ხანდახან, ელექტრონული ფოსტით ვუკავშირდებით ერთმანეთს. ასე რომ, თავად განსაჯეთ, ვართ თუ არა მე და კევინი მეგობრები.

- დამშვიდდა თუ არა ამარე სტაუდმაიერი, როდესაც გაიგო, რომ "სანზი" მის გაცვლას ან სხვაგან გაშვებას აღარ აპირებდა?

- ამარე ისედაც მშვიდად იყო. რამდენიმე დღის წინ, მისგან ტექსტური შეტყობინება მივიღე, სადაც სტაუდმაიერი კემპის ამბებს მიყვებოდა. კარგადაა და დარწმუნებული ვარ, მისი სახით დიდი ძალა გვეყოლება. ჩემპიონობის მთავარი გარანტი ამარე უნდა იყოს. მის გარეშე, პირველი წრის გავლაც კი გაგავიჭირდება.

- ასაკი გემატებათ, ლიგაში კი სულ უფრო მეტი ნიჭიერი და ამბიციური ახალგაზრდა მოდის. ნელ-ნელა ჩემპიონობის მოპოვების შანსს ხომ არ კარგავთ?

- შანსი კიდევ არაერთხელ გვექნება - ჩემპიონობაზე ფიქრს არ შევეშვებით. რაც შეეხება ასაკს, როგორც გითხარით, თავს მშვენივრად ვგრძნობ და ვთვლი, რომ მინიმუმ 3-4 წელიწადი ასეთ დონეზე გამოსვლას შევძლებ.

- "ფინიქსთან" მოქმედი კონტრაქტის ვადა სამი წლის შემდეგ გეწურებათ. დარჩებით თუ არა გუნდში იმ შემთხვევაში, თუ ამ დროის განმავლობაში ჩემპიონობის მოპოვებას ვერ მოახერხებთ?

- ამ კითხვით გუნდის ბოსებს უნდა მიმართოთ. ფინიქსში თავს მშვენივრად ვგრძნობ და არ მინდა წამითაც ვიფიქრო, რომ გუნდში ჩემს გაშვებაზე საუბარს დაიწყებენ. მგონი, ჩემი თამაშის სტილიც ბევრს მოსწონს და საერთოდაც, ყველაფერი მშვენივრადაა.

ზურაბ თალაკვაძე

სპორტული ჟანრი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით ბეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაიაძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაჟარ გაჩიჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასლია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ, 0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა